# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 6 მაისი 2005 №99 (2422) ფასი 50 თეთრი



**მე პილოტი არა ვარ**

ალენ შირესის პრესკონფერენცია

3

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**THE SUN: გოლი არ ყოფილა!**

ლივერპულს ჩელსისთვის არ გაუტანია

5



**ნელი, პოლა და მარია**

ჭორი და სინამდვილე

15

# ლევან კალაძის საქმე გაიხსნა?

მესტიის რაიონის სოფელ ეწერში შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცოპერაციის შემდეგ აღმოაჩინეს სამარხი, სადაც 8 ადამიანის გვამი ნახეს. სავარაუდოდ, მათ შორისაა კახა კალაძის ძმის, ლევანის ნეშთიც. ამ ვერსიას ისიც აძლიერებს, რომ სამარხი ცნობილი კრიმინალების, აფრასიძეების სახლის სიახლოვესაა. აფრასიძეების კლანთან ლევან კალაძის გატაცებას კარგა ხანია, აკავშირებენ. სანამ გვამებს ექსპერტ-კრიმინალისტები არ შეამოწმებენ, უტყუარ პასუხს ვერავინ იძლევა. შეგახსენებთ, ლევან კალაძე 2001 წლის 23 მაისს გაიტაცეს თანხის გამოძალვის მიზნით.



# რუსის ჯარმა პარმა აიღო

## ალკმაარს კი ნახევარფინალი აკმარეს




AFP

# უეფას თასი 2004-2005
# 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

## ცსკა (რუსეთი) 3:0 პარმა (იტალია) (0:0)

1:0, 2:0 დანიელ კარვალიუ (10, 53), 3:0 ვასილი ბერეზუცკი (60)
ცსკა: იგორ აკინფეევი, სერგეი იგნაშევიჩი, ალექსეი ბარაზუცკი, ჩიდი ოდია, ვასილი ბერეზუცკი, დანიელ კარვალიუ (დევიდას შემბერასი 75), იური ჟირკოვი, ევგენი ალდონინი, ელვირ რაჰიმიჩი, ივიცა ოლიჩი (მილოშ კრასიჩი 58), ვაგნერ ლავი (ალექსანდრ საგულინი 89)
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
პარმა: ლუკა ბუჩი (სებასტიან ფრეი 20), ჩეზარე ბოვო, დანიელე ბონერა, პაოლო კანავარო, იბრაჰიმა კამარა, ფილიპო სავი, მარკ ბრეშიანო, დანიელე დასენა, დავიდე ფურლანი (ალბერტო ჯილარდინო 49), ფრანჩესკო რუოპოლო, ვინჩენცო გრელა (ფაბიო სიმპლისიო 59)
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
გაფრთხილება: იბრაჰიმა კამარა (36), ევგენი ალდონინი (52), ჩიდი ოდია (68), მარკ ბრეშიანო (69), ჩეზარე ბოვო (77), დანიელე ბონერა (81)
გაძევება: დანიელე ბონერა (90)
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
მაყურებელი: 30 000

## ალკმაარი (ჰოლანდია) 2:1 (დ.დ. 3:2) სპორტინგი (პორტუგალია) (1:2)

1:0 პერესი (6), 1:1 ლიდსონი (45), 2:1 ჰიუსგემსი (79), 3:1 ჯელინსი (110), მიგელ გარსია (120)
ალკმაარი: ჰენკ ტიმერი, კიუ ჯელინსი, ბარი ოპდამი, ტიმ დე კლერი, რონ ვლაარი, დენი ლანძაატი, ადილ რამზი (ალი ელ ხატაბი 64), ბარი ვან გალენი, ტარიკ სექტუი, რობინ ნელისე (სტეინ ჰიუსგემსი 72), კენეტ პერესი
მწვრთნელი: კო ადრიანსე
სპორტინგი: რიკარდუ, ანდერსონ პოლგა, მიგელ გარსია, ბეტუ, რუი ჟორჟე (მარიუს ნიკულაე 110), ფაბიო როშემბაკი (პედრო ბარბოსა 86), კუშტიდიუ, მოუტინიო, რიკარდო მანუელი, რუდოლფ დუალა (როდრიგო ალვარო ტელო), ლიდსონი
მწვრთნელი: ჟოზე პეშეირო
გაფრთხილება: ლიდსონი (49), ვან გალენი (114), მიგელ გარსია (120)
მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
მაყურებელი: 8603



ლისაბონის „სპორტინგმა" ლისაბონში თამაშის უფლება ალკმაარული მატჩის 120-ე წუთზე მოიპოვა

ასე და ამგვარად, რუსის ჯარმა მაინც მიაღწია ევროპის გულამდე — ცსკა უეფას თასის ფინალში გავიდა. მოგეხსენებათ, რუსებს „ბებერი კონტინენტის" დალაშქვრა მაინც და მაინც არ ეხერხებათ. აქამდე ამ ქვეყნის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელსაც ევროთასის (1972 წლის თასების თასის გათამაშების) ფინალში გაეღწია საბჭოეთისდროინდელი მოსკოვის „დინამო" გახლდათ — „გლაზგო რეინჯერსთან" დამარცხდა, 2:3, — ახლა კი მეორე შანსი არმიელებმა მოინადირეს. საამისოდ მათ იტალიური სერია A-ს ერთ-ერთ აუტსაიდერს, მათთან ფაქტობრივად სათადარიგო შემადგენლობით მებრძოლ „პარმას" სძლიეს 3:0. პარმელები მოსკოვში შეს-უსტებული გუნდით იმიტომ ჩავიდნენ, რომ უეფას თასზე ძალის ხარჯვას იტალიის პირველობაში გადარჩენისთვის ბრძოლა უჯობთ. კიდევ, აღსანიშნავია, რომ რუსთა მუნდირის სპორტული ღირსება სამიდან ორჯერ ბრაზილიელმა ფორვარდმა დანიელ კარვალიუმ დაიცვა, ერთხელ კი მცველმა ვასილი ბერეზუცკიმ.

ხოლო ფინალში მოსკოველები ლისაბონის „სპორტინგს" შეხვდებიან. შეგახსენებთ, ფინალი ლისაბონშია...

პორტუგალიის გუნდმა ჰოლანდიის პატარა ქალაქ ალკმაარში სასწაული შეძლო — ძირითად დროში, ხომ ადრიანად დაწინაურებულ მასპინძლებს ერთხელ გაუთანაბრა, მაგრამ, ვინაიდან მასპინძლებმა მეორეც შეაგდეს და თამაში დამატებით დროში გადაიყვანეს, სადაც, კიდევ ერთის გატანა შეძლეს, 120-ე წუთზე მიგელ გარსიამ თავური დაჰკრა და...

ვითომ არ გაუმართლა ცსკა-ს?

**ბაბუნა ბედია**

### ავსტრია
**მაქსბუნდესლიგა**
**გადადებული მატჩი**
ავსტრია : გრაცერი *78-ე წუთზე (0:3)*
*შეწყდა მაყურებლების მოედანზე გადასვლის გამო*

### რუსეთი
**პრემიერლიგა. VIII ტური**
ზენიტი 1:1 ტორპედო

### ფინეთი
**ვეიკაუსლიგა. II ტური**
ჰიკ 0:0 მარიეჰამნი
ალიანსი 1:1 როვანიემი
კტპ 0:3 ტპ-47
კუოპიო 1:0 იარო
მიუპა 1:1 ინტერი
ტამპერე 3:1 ლაჰტი
ტურკუ 0:0 ჰაკა

### ჩეხეთი
**გამბრინუს ლიგა**
**გადადებული მატჩი**
ბრნო 0:1 სლავია

### ნორვეგია
**ტიპელიგა**
**V ტური**
ჰამ კამი 1:1 ფრედრიკსტადი
მიოლდე 2:1 ტრომსიო
ოდ გრენლანდი 0:2 ლილესტრიომი
რუსენბორგი 3:0 სტარტი
ვოლერენგა 3:1 ალესუნდი
ვიკინგი 0:0 ლინი
ბრანი 2:3 ბოდიო გლიმტი
**I დივიზიონი**
**V ტური**
ფოლო 0:1 ალტა
ჰიოდი 4:2 ლოვ ჰამი
კონგსვინგერი 2:2 სკეიდი
მანდალი 1:2 სანდეფიორდი
მოსი 0:0 სტაბეკი
სოგნდალი 3:0 პორს გრენლანდი
სტრიომსგოდსეტი 0:1 ჰიონეფოსი
ტონსბერგი 2:3 ბრინი

### შვედეთი
**თასის II ეტაპი**
ჰალმსტადი 2:2 (დ.დ.3:2) ბოდენსი
ენსკედე 3:1 ვისბი
ტრელებორგი 1:0 აიკ
ბუნკეფლო 0:3 სუნდსვალი
ვასალუნდი 0:1 ელფსბორგი
ლუნდი 1:4 ნორჩიოპინგი
იოსტერსი 0:1 ჰეკენი
სკელეფტე 2:11 გიოტებორგი
ტენულტსი 0:1 ოლმე
სლეიპნერი 1:1 (დ.დ.2:1) გაის
ვასბი 0:2 იურგორდენი
კალმარი 3:1 ჰამარბი

### შვეიცარია
**ჩელენჯლიგა**
**გადადებული მატჩი**
ბოლმი 0:2 ლუცერნი

### დანია
**თასის ფინალი**
ბრონდბიუ 2:2(დ.დ. 3:2) მიდტიულანდი

# ზესტაფონის მდუღარება
## ფერო არ ლაპარაკობს, ფერო აკეთებს: ევრომატჩი ზესტაფონში იქნება!

**ბოლო** წლებში ხშირად გაიგონებთ, რაიონებში ფეხბურთს კლავენ და საქართველოს ჩემპიონატი თბილისის ჩემპიონატს დაემსგავსაო. ამ დროს კი იმერეთის პატარა ქალაქ ზესტაფონში ფეხბურთის ბუმია, იქაურებს დიდიან-პატარიანად თავიანთ საყვარელ „ზესტაფონზე" აბოდებთ. ფეროელთა ქალაქში ძნელად ნახავთ კაცს, 26 მაისის მოლოდინით არ ცხოვრობდეს — ამ დღეს ხომ „ზესტაფონი" დავით ყიფიანის თასის ფინალში „ლოკომოტივს" შეერკინება.



[illegible] ფოტო

დავით აბაშიძე

...მაგრამ, ქვეცნობიერი შიში არსებობს: რა აზრი აქვს ევროტურნირებზე გასვლას, იქ 0:7 ან მსგავსი სამარცხვინო მარცხი თუ გელის? რა აზრი აქვს, როცა ყანასავით მინდორზე თამაშობ? საბედნიეროდ, „ზესტაფონის" ხელმძღვანელობა შორს იყურება. უკვე გეცოდინებათ, 10 მაისიდან ზესტაფონის ცენტრალური სტადიონი იკეტება, ხოლო უფრო ვრცლად სამომავლო გეგმებზე კლუბის გენერალური დირექტორი დავით აბაშიძე გვესაუბრა...

„ამ სეზონში „ზესტაფონისთვის" მტკივნეული თემა სტადიონი იყო. 8 მაისს „დინამოსთან" ვითამაშებთ და 10-დან ვიწყებთ რეკონსტრუქციას, მოედნის დრენაჟის გაკეთებას. შევიძინეთ სათანადო ტექნიკა, სადრენაჟო მილები, სასუქი, ბაზისთვის მეოთხე თაობის ხელოვნური საფარი შეკვეთილი გვაქვს, სტადიონზე კი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მინდორი გვექნება. გარდა ამისა, ტრიბუნებსაც უნდა მივხედოთ: ინდივიდუალურ სკამებს დავამონტაჟებთ, სამი მხრიდან იქნება ტრიბუნები და მერე მეოთხეც გაკეთდება. ასევე გვექნება თანამედროვე ტაბლო. ტრიბუნების ქვეშ სატრენაჟორო დარბაზი, საუნა და, მოკლედ რომ ვთქვათ, თანამედროვე აღდგენითი ცენტრი მოეწყობა".

მოგეხსენებათ, „ზესტაფონმა" უპრობლემოდ მიიღო ლიცენზია, რაც მის გარდა ჯერჯერობით მხოლოდ ოთხმა ქართულმა კლუბმა მოახერხა. დღევანდელობიდან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, გუნდმა საევროთასო მატჩს მშობლიურ ქალაქში უმასპინძლოს, თუმც დავით აბაშიძეს ამის გაფიქრებაც არ სურს.

„ამ ქალაქში ყველა ფეხბურთით ცხოვრობს, ხალხს სიხარული უნდა ვაჩუქოთ. „ფეროს" მხრიდან იმხელა ძალისხმევაა, მეეჭვება, საევროტურნირო მატჩამდე სტადიონის კეთილმოწყობა ვერ მოხერხდეს, სხვა სტადიონზე თამაში კი ხიბლს დაკარგავს. თუმცა მანამდე, 26 მაისს „ლოკომოტივს" უნდა მოვუგოთ".

ისევ სტადიონის თემას ვუტრიალოთ: ზესტაფონში ხელოვნურსაფარიანი მოედანიც კეთდება, რაც ივნისის ბოლოს მწყობრში იქნება, მერე კი ტრიბუნებზეც მიდგება ჯერი. ზესტაფონში სამი საბაზო მოედანიც გაშენდება, აქედან ერთი — არასტანდარტული.

„ფეროს" ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას მიაქცევს ბავშვთა ფეხბურთსაც. ჯერჯერობით ზესტაფონში ამ მხრივ საქმე სანიმუშოდ მართლა ვერ არის...

„ბავშვთა სამი ასაკობრივი გუნდი საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობს, მაგრამ ცუდი პირობები აქვთ. ბავშვებსაც და „ზესტაფონის" ფარმ-კლუბსაც ხარაგაულში უწევთ თამაში, მაგრამ, როგორც გითხარით, მალე მოედნები ზესტაფონშიც იქნება. ჩვენს ქალაქში იშვიათად ნახავთ ბავშვს, ფეხბურთელობა რომ არ უნდოდეს და იმხელა ნაკადი მოდის, გაგიკვირდებათ" — ამბობს დავით აბაშიძე და იქვე დასძენს, დღევანდელი ზესტაფონი 80-იანი წლების მიწურულის ლანჩხუთს მაგონებს, პაწაწკინტელა ქალაქში თამაშის დღეს სამუშაო პროცესი პარალიზებულია, ყველანი სტადიონზე მიიჩქარიან.

უკვე ვთქვით, რომ „ზესტაფონს" ევროტურნირზე შეურცხვენლად გამოსვლა ამოუჩრია გულში. კლუბის ხელმძღვანელობა ილუზიებით არ იკვებება. მათ იციან, რომ დღევანდელი კონტინგენტით უცხოეთში ვერავის გააკვირვებენ.

„გუნდი აუცილებლად გაძლიერდება. ისე, შუა სეზონშიც გვსურდა ლეგიონერების ჩამოყვანა, მაგრამ ზესტაფონში არ არის იმ დონის სასტუმრო, იქ უცხოელის დასახლებისა არ შეგრცხვეს. ახლა კი სასტუმროც კეთდება, მოედნებიც და მატჩიდან მატჩამდე სხვა ქალაქებში შეკრების გამართვა არ მოგვიწევს. მოკლედ, „ზესტაფონში" ლეგიონერები გამოჩნდებიან, ძალიან გვინდა შავკანიანების ჩამოყვანა. ერთი უცხოელი კი უკვე გვყავს და როგორ არგია გუნდს, კარგად ხედავთ: სერგეი ნუდნი გულშემატკივრების ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია" — გვითხრა დავით აბაშიძემ.

ასეა, „ფეროს" შემწეობით იმერეთის ოციათასიანი ქალაქი ფეხბურთით დუღს, ოცი დღეც და ამ ქალაქში ეგებ, საქართველოს თასიც ჩაიტანონ.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს ნაკრების ზედიზედ ორი წაგებული მატჩი და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის დაკარგული შანსი; ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას დაპატიმრება და თანამდებობიდან გადადგომა; ახალი პრეზიდენტის არჩევნები და 11 ივნისის ყრილობა — ეს ამბები ჯაჭვივით გადაება ერთმანეთს და ამათში ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესიც არაერთხელ ხსენებულა. სალაპარაკო გახდა ჟირესის ხელფასი და კვალიფიკაცია, რამაც, ბუნებრივია, მწვრთნელი გაალიზიანა.
ყველაფერს პრესკონფერენციაზე ვიტყვი — ამბობდა ადრე ალენ ჟირესი და ვითარებაც კიდევ უფრო იმუხტებოდა. და აგერ, გუშინ, პრესკონფერენციაც გამართა. რისი თქმა სურდა ალენ ჟირესს, რატომ გალიზიანდა, რა იყო ბერძნებთან და თურქებთან მარცხის მიზეზი... როგორც ყოველთვის, ჟირესი კონკრეტულ განცხადებებს ამჯერადაც ტაქტიანად მოერიდა...



გელა კიკნაძის ფოტო

# ჟირესი არ დაფრინავს

## პროგრესი და კრიტიკა: ვის რა უხარია

— ფეხბურთის ფედერაციასა და ზოგადად ქართულ ფეხბურთს ახლა რთული პერიოდი უდგას და, სამწუხაროდ, გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთი სუბიექტური აზრების გამოთქმას არ ერიდებიან, გამოდის, მათ ჩვენი წარუმატებლობა უხარიათ. რა თქმა უნდა, ყველას აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება, მაგრამ კარგი იქნება, ამას კორექტულად თუ გააკეთებენ. აქვე მსურს, თანადგომა ვაგრძნობინო მერაბ ჟორდანიას, მას ახლა უჭირს.

— რატომ წააგო საქართველოს ნაკრებმა საბერძნეთთან და თურქეთთან? ყველა მიზეზის დეტალურად განხილვა შეუძლებელია, თუმც მთავარს გეტყვით — გუნდი ფსიქოლოგიურად არ იყო ისე მომზადებული, როგორც წინა მატჩებისას. ამას გარდა, რამდენიმე ფეხბურთელს ტრავმა აწუხებდა და უხარისხო მოედანზეც ვითამაშეთ. ახლა ჩემი საზრუნავი ისაა, რომ გუნდს ძველებური ფსიქოლოგიური განწყობა დავუბრუნო და ალბანეთში ღირსეულად ვითამაშოთ. მიუხედავად იმისა, რომ შესარჩევ ჯგუფში გამარჯვების შანსი აღარ გვაქვს, ეს თამაში მომავალში უკეთესი გუნდის ჩამოსაყალიბებლად უნდა გამოვიყენოთ.

— ზოგადად, ქართული ფეხბურთის პრობლემა ისაა, რომ საუკეთესო ფეხბურთელები უცხოეთში თამაშობენ და ნაკრებსაც ისინი წარმოადგენენ. საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეებს კი არ აქვთ მათთან კონკურენციის ძალა. საჭიროა, გაკეთდეს ერთი საფუძვლიანი პროგრამა, რომლის ჩარჩოებშიც მოემზადებიან ასაკობრივი ნაკრებები, ამხანაგურ მატჩებს ხშირად გამართავენ და დონეს აიმაღლებენ.

— აზრის გამოთქმას ვერავის დაუშლი. შესაძლოა, ჩემი კომპეტენციით დაეჭვდნენ, თუმც ეს არ მადარდებს, ახლა ჩემი საქმე ალბანეთთან მატჩისთვის ნაკრების მომზადებაა. ეროვნული გუნდის ჩამოსაყალიბებლად დროა საჭირო, ძლიერი ნაკრები ერთი-ორ თვეში არ კეთდება. მწყინს, როცა ზოგიერთები მხოლოდ ცუდს ხედავენ, თითქოს კარგი არაფერი გაკეთებულიყოს...

*ალენ ჟირესი, ცოტა არ იყოს, გაცხარდა. მას კი სიტყვა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ ჩამოართვა — მწვრთნელის კომპეტენცია ფედერაციაში არავის აეჭვებს და მასთან კონტრაქტის გაწყვეტაზე არც უფიქრიათ, მეტიც, შესაძლოა, ჟირესმა ახალი კონტრაქტი გააფორმოსო.*

— ვისახარებს ჩვენი წარუმატებლობა, ვერ გეტყვით, რადგან, როცა ამას ვამბობდი, კონკრეტულად არავის ვგულისხმობდი, შესაბამისად, ვერც მათ ვინაობას დავასახელებ. ასეთ ადამიანებსა და ჩემ შორის სხვაობა ისაა, რომ მე ნაკრების პროგრესისთვის ვმუშაობ, ისინი კი კრიტიკისთვის.

— ნაკრების წარუმატებლობას მწვრთნელი და ფეხბურთელები თანაბრად ვიზიარებთ. სამწუხაროა, რომ ნაკრები სწორედ ამ ორი მნიშვნელოვანი თამაშის წინ მოდუნდა და კონცენტრაცია დაკარგა.

— რა თქმა უნდა, კალენდარი შედეგს არ განსაზღვრავს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი კალენდარი მთლად იდეალური არ იყო. ძნელია, როცა ოთხ დღეში ჯერ ევროპის ჩემპიონს ეთამაშები, მერე მსოფლიოს მესამე პრიზიორს. მაგალითად, ყაზახეთთან თებერვალში იყო მატჩი დაგეგმილი, მაგრამ აგვისტოსთვის გადაიდო. არ ვამბობ, თებერვალში ყაზახეთს აუცილებლად მოვუგებდით-მეთქი, მაგრამ ასე რომ მომხდარიყო, ვინ იცის, ბერძნებს და თურქებს როგორ დავუხვდებოდით.

— ადრე ვთქვი, რომ შესარჩევ ჯგუფში გამარჯვება ძალიან რთული იქნებოდა, მაგრამ არა შეუძლებელი. ჩვენ ჩვენი მიზანი გვქონდა, რაც ნაწილობრივ შევასრულეთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ვერ მოვხვდით, კატასტროფა არ არის, ჩვენი იქ ყოფნა უფრო გასაკვირი იქნებოდა. თუმც ეს წარუმატებლობა არ ნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრები აღარ იქნება, მომავლისთვის უკეთ მოვემზადებით.

— ალენ ჟირესი პროფესიით მწვრთნელია და პილოტობას არ მოინდომებს. ეს არც საქართველოს ჩემპიონატის მოწინავე გუნდების მწვრთნელებს უნდა სურდეთ.

— ჯერ თავად არ ვიცი, ალბანეთთან მატჩისთვის რომელ ფეხბურთელებს გამოვიძახებ, თუმც გაფართოებულ შემადგენლობაში შოთა არველაძეც არის. მას საბერძნეთთან არ გაუმართლა და მიმაჩნია, რომ ის ზედმეტად გააკრიტიკეს.

— ახლა ჩემი საფიქრალი ისაა, რომ საქართველოს ნაკრებს რწმენა დავუბრუნო. ეს იქნება ალბანეთში მწვრთნელების მთავარი მიზანი.

— საქართველოს ნაკრებს მეკარის სერიოზული პრობლემა აქვს. არის პოზიციები, სადაც არაფერი გვიჭირს, თუმც რამდენიმე პოზიცია მადარდებს. მაღალი დონის გუნდები შემადგენლობის მხრივ დაბალანსებულები არიან, ჩვენ კი ერთ პოზიციაზე მსოფლიოს კლასის ვარსკვლავი რომ გვყავს, მეორე ადგილზე მოთამაშე არ მოგვეძებნება.

— დიდ გუნდებთან ამხანაგური მატჩები კარგია, მაგრამ ძალიან ძნელი. დიდებისთვის საქართველო მიმზიდველი მეტოქე არ არის. რა თქმა უნდა, მსურს ამხანაგური მატჩები, მაგრამ დეკემბრამდე ეს ვერ მოხერხდება. თუმც დაველოდოთ 11 ივნისს და პრეზიდენტის არჩევნებს *— ასე დაამთავრა ალენ ჟირესმა. რა იგულისხმა, ვისი პრეზიდენტობა ისურვა მწვრთნელმა, ამას უკვე ვეღარ გეტყვით.*

**კობა ინასარიძე**

# ულიცენზიო იმედი

## რა ჩანს ქუთაისიდან: ევროპა თუ ევროპის მირაჟი?

ქუთაისის „ტორპედომ" ჩემპიონატის 31-ე ტურში თბილისის „დინამო" დაამარცხა და მეორე ადგილისთვის ბრძოლაში პოზიცია გაიმყარა, თუმც... გუშინდელ „სარბიელშიც" წაიკითხავდით, რომ ლიცენზირების პრობლემის გამო შესაძლოა „ტორპედომ" უეფას თასზე ველარ ითამაშოს. ეს საკითხი დღესდღეობით იმდენად აქტუალურია, რომ ამ შეგვეძლო, არ გამოვეხმაურებოდით და ქუთათურთა მცველ დავით გამეზარდაშვილს ველაპარაკეთ.

საერთო პრობლემა ცნობილია — „ტორპედოს" საბანკო ანგარიში დაყადაღებულია და ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტიც ამიტომ ვერ აძლევს კლუბს უეფას თასზე თამაშის უფლებას...

**— „დინამოსთან" შეხვედრით დავიწყოთ. დამეთანხმები, თბილისში თქვენს გამარჯვებას ბევრი ვერ წარმოიდგენდა...**

— ბუნებრივია, ყველა თამაშზე მოსაგებად გავდივართ, მაგრამ „დინამოსთან", თანაც სტუმრად მოგებაზე ასი პროცენტით თავს ვერავინ დადებდა. უფრო მგონია, რომ ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდა, თუმცა გაგვიმართლა, ბოლო წუთზე გადამწყვეტი ბურთი შევაგდეთ და 2:1 მოვიგეთ.

**— ის გადამწყვეტი გოლი შენ გაიტანე და საერთოდაც, ბოლო ხანს გოლებს დაეჩვიე...**

— ასე აეწყო, თუმც ვერ ვიტყვი, რომ რაღაც განსაკუთრებული ხდება. ფეხბურთში ხან გაგიმართლებს, ხან არა.

**— წინა ორ სეზონში გაცილებით ხშირად გხედავდით ნახევარდაცვაში, ახლა კი მცველად თამაშობ...**

— ბავშვობიდან მცველი ვარ და ახლაც ასეა. ნახევარდაცვაში და თავდასხმაში რამდენჯერმე მართლაც ვითამაშე, თუმცა ამას უფრო გაუგებრობას ვაბრალებ. მაშინ ჩვენი მწვრთნელი ალექსანდრ შტელინი იყო და ის მათამაშებდა რატომღაც წინ.

**— „ტორპედო" ევროთასებზე გასვლის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია და ამ დროს გუნდს ლიცენზიის მოპოვება უჭირს, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ თქვენ ნაცვლად ევროპაში სხვა, ლიცენზირებული გუნდი ითამაშებს. კლუბში რას ამბობენ ამის თაობაზე?**

— რა ვიცი... გვეუბნებიან, თქვენ ითამაშეთ, მოიგეთ და არაფერი დაგეკარგებათ, დანარჩენი ჩვენ ვიცითო. „დინამოს" ჩემპიონობაში აღბათ ვერ შევეცილებით, მაგრამ უეფას თასზე გასვლა მართლა რეალურია და ძალიან მეწყინება, ამის უფლებას თუ არ მოგვცემენ.

**— რაიმეს იმედი კიდევ გაქვთ?**

— იმედი კი გვაქვს, მაგრამ რა იქნება, არავინ იცის. გვითხრეს, ყველაფერს მოვაგვარებთო და ვნახოთ...

**— „ტორპედოს" ანგარიში დაყადაღებულია და ხელფას-პრემიებზე შეფერხება გაქვთ?**

— არა, ყადაღა ჩვენ არ შეგვხებია. ხელფასებს ჩვეულებრივად ვიღებთ და ამ მხრივ პრობლემა არ არის.

**— ესე იგი, ფინანსური პრობლემები მოგვარდა?**

— საგანგაშო არაფერია.

**— სეზონის ბოლოს „ტორპედოსთან" კონტრაქტი გიმთავრდება და რას აპირებ?**

— ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. რაღაც ვარიანტები მაქვს, მაგრამ სანამ ბოლომდე არ მოვიფიქრებ, მანამდე თქმას აზრი არა აქვს.

**— უცხოეთში წასვლაზე ხომ არ ფიქრობ?**

— სწორედ ეგ მაქვს გადასაწყვეტი. ყოველ შემთხვევაში, სეზონის ბოლომდე დრო კიდევ არის და ვნახოთ, რა მოხდება.

**კახა შალამბერიძე**



გელა კიკნაძის ფოტო



თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი ახალ სეზონში პირველი ლიგის მატჩებს უმასპინძლებს



„დილას“ 31-ე ტურში დაუღამდა

# დილას მშვენიერება
# რა იქნება ხვალ?

*მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ნინა, 31-ე ტურში გორის „დილა“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა. გორელთა ასეთ ხვედრს ყველა შეგუებული იყო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არგავარდნისთვის მებრძოლთაგან პირველად „დილას“ შეუწყდა დაფინანსება. არადა, „დილა“ საკმაოდ ტრადიციული, ძველი გუნდია, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დასაბამიდან თამაშობდა, საიდანაც პირველად 2002 წელს გავარდა და მერე მყის დაბრუნდა საუკეთესოთა შორის.*

*ახლა კი არანაირი პერსპექტივა არ ჩანს საამისოდ, რომ „დილა“ მალე წამოდგება ფეხზე...*

ბოლო წლებში „დილას“ ბიზნესმენი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი გელა ჩხეიძე პატრონობდა, თუმც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩხეიძე ფრთამოტეხილი აღმოჩნდა, რაც „დილასაც“ დაეტყო.

რამდენიმე თვის წინ ქვემო ქართლის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა „სარბიელს“ უთხრა, „დილას“ მივხედავთ, გუნდის დახმარების სურვილი რამდენიმე გორელ ბიზნესმენსაც აქვსო, მაგრამ ქარელის სიტყვა არ გამართლდა, „დილას“ ფულს აღარავინ აძლევდა და უმაღლესი ლიგიდან გავარდა კიდეც.

ეროვნული ჩემპიონატის გულის ფეთქვა პერიფერიებია, იქ განსაკუთრებულად ქომაგობენ თავიანთ გუნდებს, მაგრამ თუ „ზესტაფონს“ არ ჩავთვლით, ფული ოდენ თბილისურ გუნდებს აქვთ, თუმც დედაქალაქურ კლუბებს ქომაგი თითქმის არ ჰყავთ, თბილისური გუნდების საშინაო მატჩებზე ხალხი ძალიან მეჩხრად დადის — ასეთია ერთ-ერთი ქართული პარადოქსი.

სანამ „დილა“ მეორედ გავარდებოდა უმაღლესი ლიგიდან, ითქვა, გუნდის და სტადიონის ყიდვას საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ექსპრეზიდენტი და ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვი ეშურებაო, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. რაც შეეხება ხელისუფლებას, ბიუჯეტის ფულით პირველლიგელი „ცხინვალი“ ფინანსდება როგორც პოლიტიკურად მნიშვნელოვანი გუნდი და „დილას“ ფულს ვინლა მისცემს?!

ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე „დილას“ ფულადი პრობლემები პერიოდულად ატკიებდა თავს, მაგრამ ფული „დილას“ მეტწილად მაშინ შემოაკლდებოდა ხოლმე, როცა სამშვიდობოს იყო გასული, ანუ უმაღლესი ლიგიდან გავარდნა არ ემუქრებოდა. „დილა“ სულ ცხრილის შუაში იყო, არადა, ისეთი ფეხბურთელები ჰყავდა, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა ნაღდად შეეძლო — ასე იყო 90-იან წლებში, გორში თამაში ყველას უჭირდა და თუ იქიდან ვინმე ქულას ან ქულებს წაიღებდა, ეჭვიც ჩნდებოდა, ემანდ თამაში გარიგებული ხომ არ იყოო. „დილაზე“ ხშირად იმასაც იტყოდნენ, ნისიაზე მოთამაშე გუნდიაო, რადგან ფინანსური ზურგი არასტაბილური ჰქონდა. მაგრამ „დილაზე“ კარგიც ბევრი ითქმოდა, „დილა“ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობდა, თავისი ხელწერა გააჩნდა და მის აღზრდილ სამ ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებშიც კი უთამაშია — ვაჟა თარხნიშვილს, გიორგი ბალაშვილს და გიორგი რევაზიშვილს. „დილას“ ფეხბურთელი გახლდათ ჯიმშერ მარეხაშვილიც — ის პირველია, ვისაც ეროვნულ ჩემპიონებტში 300-ზე მეტი მატჩი უთამაშია. თანაც მარეხაშვილმა 301 მატჩი მხოლოდ ერთ გუნდში, „დილაში“ ითამაშა.

ყველაზე სახელოვანი და ხმაურიანი გამარჯვება კი „დილამ“ 1998 წლის 14 აპრილს მოიპოვა, როცა თბილისის „დინამო“ სტუმრად, ეროვნულ სტადიონზე 2:1 დაამარცხა თასის ნახევარფინალში. მაშინდელი „დინამო“ ნამდვილი ჰეგემონი იყო, საქართველოს ჩემპიონი მის გარდა ვერავინ ხდებოდა და ასეთ „დინამოს“ „დილამ“ ამოსცხო აბრაგანი. „დინამო“ დავით მუჯირის გოლით დაწინაურდა მე-7 წუთზე, როინ მარლიშვილმა 23-ზე გაათანაბრა, ხოლო გამარჯვების გოლი 18 წლის ქრისტეფორე შატაკიშვილმა შეაგდო — მან ორი მეტოქე ჩამოიცილა და გელა ჭანტურიას დაბალ კუთხეში გაუტანა. ეს „დილას“ საუკეთესო მატჩი გახლდათ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, „დინამოს“ მაშინ ლევან ცქიტიშვილი, რატი ალექსიძე, გიორგი კიკნაძე და მიხეილ აშვეთია ჰყავდა, მაგრამ შატაკიშვილის, მარლიშვილის, ზურაბ ხორგუაშვილის, ბალაშვილის და თარხნიშვილის „დილას“ დაეჩაგვრინა. საპასუხო მატჩზე გორის ცენტრალური სტადიონი გადაიჭედა, პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და უგოლოდ ჩამთავრდა, მეორეში კი ოთხი გოლი გავიდა, „დინამომ“ 3:1 მოიგო და ფინალში გავიდა. სკანდალური მატჩი გამოდგა, თითქმის ყველას სჯეროდა, რომ შესვენებაზე გარიგება შედგა და „დინამო“ ასეთნაირად გავიდა ფინალში. მაშინ ძალიან მოხშირებული იყო ჩაწყობილი თამაშები, ხშირად ეს მოურიდებლად და თითქმის ღიად ხდებოდა და გამკითხავიც არავინ იყო. მაგრამ ამ ისტორიაში ეს სულაც არაა მთავარი, მთავარი ისაა, რომ „დილას“ პრინციპულ შეხვედრაში „დინამოს“ სტუმრად დამარცხებაც კი შეეძლო.

შარშან „დილამ“ ევროსარბიელზე, ინტერტოტოს თასზეც ითამაშა. თბილისის „ლოკომოტივმა“ კუთვნილ ევროსაგზურზე უარი თქვა და მის მაგივრად „დილა“ გაისარჯა, ბულგარულ „მარეკს“ სტუმრად 0:0 ეთამაშა, ხოლო თბილისში 0:2 წააგო.

მაგრამ „დილა“ მხოლოდ ამ ამბებით როდი იწყება და მთავრდება. სტალინის სამშობლოში საფეხბურთო გუნდი გასული საუკუნის 20-იან წლებში შექმნეს და იმ დროისთვის მოდური სახელი „სპარტაკი“ დაარქვეს,. შემდეგ ამ გუნდს „პიშჩევიკი“ უწოდეს, ომის შემდეგ კი „დინამო“. მაგრამ 50-იანი წლების ბოლოს გორში საფეიქრო მრეწველობა განვითარდა, ბამბეულის კომბინატში სპორტსაზოგადოება და რამდენიმე სპორტული სექცია შეიქმნა და გადაწყდა, რომ გორის საფეხბურთო გუნდს „დილა“ დარქმეოდა. „დილას“ დილის მშვენიერებასთან საერთო არაფერი ჰქონდა, „დილა“ ბამბეულის კომბინატის ერთ-ერთ ნაწარმს ერქვა და სწორედ ამიტომ დაარქვეს ის საფეხბურთო გუნდს — ეს 1960 წელს მოხდა.

რაც შეეხება სტადიონს, რომელსაც გორის ციხე დაჰყურებს, 1949 წელს აშენდა და 1965 წელს განახლდა, რადგან 1966 წლიდან „დილა“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ჩაერთო — მეორე ლიგის მეცხრე ზონიდან „დილა“ არასოდეს გავარდნილა, სულ ლიდერთა შორის იყო, რამდენჯერმე საპლეიოფო მატჩიც ითამაშა პირველ ლიგაში გადასასვლელად, მაგრამ ხელი მოეცარა.

მოკლედ, ათადან და ბაბადან გორში ფეხბურთი სტალინის ძეგლივით ხელშეუხებელი და იქაური ვაშლივით გემრიელი იყო. ბოლო დროების გორელი ქომაგი კი განსაკუთრებულად ტემპერამენტიანი გახლდათ სპეციფიკური სკაბრეზით და ისინი გუნდს გასვლით მატჩებზეც დაჰყვებოდნენ.

რა იქნება ხვალ? საკითხავი, აი, ეს არის.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს პირველი ლიგა · ჩემპიონატი · 16 · მეორე წრე

## 25 ტური

ვიტ ჯორჯია 2:1 ოლიმპი

მერანი 3:1 კახეთი

რუსთავი 3:1 ცხინვალი

დინამო 2 3:2 სპარტაკი

გურია 2:0 ბორჯომი

გადაიდო

ჩიხურა — ივერია

გადაიდო

მაღაროელი — ლოკომოტივი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 25 | 19 | 3 | 3 | 61:26 | 60 |
| ამერი | 24 | 18 | 2 | 4 | 73:13 | 56 |
| სპარტაკი | 25 | 14 | 8 | 3 | 43:25 | 50 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 14 | 6 | 5 | 39:20 | 48 |
| კახეთი | 25 | 14 | 4 | 7 | 42:30 | 46 |
| ცხინვალი | 25 | 13 | 3 | 9 | 34:28 | 42 |
| დინამო 2 | 25 | 13 | 1 | 11 | 53:41 | 40 |
| გურია | 25 | 10 | 6 | 9 | 28:35 | 36 |
| ჩიხურა | 24 | 8 | 7 | 9 | 24:26 | 31 |
| რუსთავი | 25 | 9 | 3 | 13 | 32:37 | 30 |
| ლოკომოტივი 2 | 24 | 7 | 5 | 12 | 28:38 | 26 |
| ოლიმპი | 25 | 7 | 4 | 14 | 30:41 | 25 |
| მერანი | 25 | 7 | 4 | 14 | 31:44 | 25 |
| ივერია | 24 | 6 | 5 | 13 | 20:37 | 23 |
| საგარეჯო | 24 | 3 | 5 | 16 | 19:52 | 14 |
| მაღაროელი | 24 | 0 | 4 | 20 | 11:75 | 4 |

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა
საგარეჯო — ამერი
6 აპრილს 17 საათიდან
ონლაინ რეპორტაჟი ვებ გვერდზე
www.fcameri.ge

# THE SUN: გოლი არ ყოფილა!
## ტერი და ლამპარდი მაგიდაზე

**ცნობილი** ინგლისური გაზეთი „სანი“ იუწყება, რომ „ჩელსისა“ და „ლივერპულის“ მატჩში ლუის გარსიას დარტყმის შემდეგ ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთია და შესაბამისად, გოლიც არ ყოფილა. ეს ინფორმაცია სპეციალურ კომპიუტერულ ტექნოლოგიაზე დაყრდნობით ვრცელდება.

„მსაჯები კართან უფრო ახლოს ან ხაზის გასწვრივ რომ მდგარიყვნენ, თავადაც კარგად დაინახავდნენ ყველაფერს. სპეციალური კომპიუტერული პროგრამის დახმარებით შევძელით, დავრწმუნდეთ, რომ გოლი არ ყოფილა“ — აღნიშნა ტელეკომპანია **SKY SPORTS**-ის ცნობილმა კომენტატორმა ენდი გრეიმაც.



ფრენკ ლამპარდი და ჯონ ტერი სეზონის ნაადრევად დასრულებას აპირებენ

თუმცა, იმ შეხვედრის მსაჯი რომან სლიშკო მიიჩნევს, რომ მართებული გადაწყვეტილება მიიღო: „დარწმუნებული ვარ, არ შევმცდარვარ და გოლი სამართლიანად ჩავთვალე. იქამდე კი ლონდონელთა მეკარე პეტრ ჩეხმა მილან ბაროშთან ორთაბრძოლაში თამაშის წესები დაარღვია“.

აქვე ვთქვათ ისიც, რომ „ლივერპულთან“ მატჩის შემდეგ „ჩელსის“ ორმა ლიდერმა, ჯონ ტერიმ და ფრენკ ლამპარდმა ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტეს. ორივე მათგანს ტერფის ტრავმა აწუხებს და ამ პრობლემის მოგვარებას სეზონის დასრულებისთანავე აპირებენ. შესაბამისად, მონაწილეობას ვერ მიიღებენ მასის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში დაგეგმილ ტურნეში, რომელსაც „ჩელსი“ ოკეანეში გამართავს.

ფრენკ ლამპარდი: „ბოლო დროს თამაში მიჭირს, რადგანაც ტკივილს ვგრძნობ. ექიმებმა მირჩიეს ოპერაცია გავიკეთო და მეც დავთანხმდი. აჯობებს, პრობლემა ერთხელ და საბოლოოდ, თან რაც შეიძლება, მალე მოვაგვარო“.

**გიორგი ძაძამიძე**

# მაურინიომ ხუთჯერ ხუთი გააფორმა
## ჩელსიმ ჟოზეს გული დაუმშვიდა

*ჟოზე მაურინიომ გუშინწინ „ჩელსისთან“ ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ხელფასის სახით ყოველწლიურად დაახლოებით ხუთ მილიონ გირვანქას მიიღებს. ასე დაუფასეს მას პირველივე სეზონში მოგებული ორი ჯილდო — პრემიერლიგის ჩემპიონობა და ინგლისის ლიგის თასი*



ჟოზე მაურინიო ლონდონური ცხოვრებით კმაყოფილია

**„ახალი** კონტრაქტით ცხადია, კმაყოფილი ვარ — განაცხადა პორტუგალიელმა — ჩემი გული „ჩელსის“ და იმ ხალხს ეკუთვნის, ვისთანაც ვმუშაობ. მათ ამ სეზონში ბეჯითად იშრომეს. კლუბის პატრონის სამომავლო პროექტს გავეცანი და მსურს, რომ მის განხორციელებაში მონაწილეობა მეც მივიღო. „ჩელსი“ სწორედ ის კლუბია, სადაც თავს მშვენივრად ვგრძნობ. ჩვენ კიდევ ბევრი ჯილდოების მოხვეჭას ვაპირებთ, ამ კონტრაქტით კი მე უფრო მშვიდად გავაგრძელებ მუშაობას, რადგან მეცოდინება, რომ ოჯახით მომდევნო ხუთ წელს ლონდონში ვიცხოვრებ. ეს ფაქტი ჩემი შვილებისთვისაც მნიშვნელოვანია და „ჩელსის“ ფეხბურთელებსაც, ცხადია გაუხარდებოდათ, რომ მათთან ერთად ვიქნები. წლეულს, ოთხი შეჯიბრიდან ორი მოვიგეთ, მომავალი სეზონიდან კი შევეცდებით, უფრო მეტი მოვიგოთ“.

კლუბის აღმასრულებელ დირექტორ პიტერ კინიონს სურდა, რომ ჟოზე მაურინიო ათი წლით „დაეტოვებინა“ გუნდში, თუმცა ჯერჯერობით „ხუთწლიანზე“ დაითანხმა: „ეს ყველასთვის სასიხარულო ამბავია. თავიდანვე, როცა მაურინიო მოვიდა, ჩვენ გრძელვადიანი თანამშრომლობა შევთავაზეთ. მან პირველივე სეზონში დაამტკიცა, რომ ძლიერი მწვრთნელია და კონტრაქტიც ამიტომ გავუხანგრძლივეთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჯიბრილ სისე

# სისეს საქორწილო აშკარეს

**ჩემპიონთა** ლიგის ფინალისტ ჯიბრილ სისეს „ჩელსისთან“ მატჩის მეორე დღეს გუნება ოდნავ წაუხდინეს. საქმე ის, რომ: ფრანგი ფორვარდი ავტომობილით მაღაზიასთან მისულა და ოთხთვალა გზისპირას, აკრძალულ ადგილას გაუჩერებია. სურსათ-სანოვაგით უკან დაბრუნებული სისეს საქარე მინაზე საჯარიმო ქვითარი დახვდა. მავანმა თვითმხილველმა მომხდართან დაკავშირებით თქვა, რომ ფრანგმა ქვითარი გამოაძრო, ავტომობილში ჩაჯდა და გზა განაგრძო.

მაგრამ ეს არაა მთავარი — თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯიბრილ სისეს ოთხთვალა სულ მცირე, 60 ათასი გირვანქა ღირს, ფეხბურთელის ჯარიმის გადახდა ნამდვილად არ გაუჭირდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ზაგალო ავად გამხდარა

**74 წლის** მარიო ზაგალო რიო დე ჟანეიროს სამარიტანოს ჰოსპიტალში მიიყვანეს — მას ბოლოხანებში გული აწუხებდა, თუმც ამჯერად კუჭის ტკივილის გამო მოხვდა თეთრხალათიანებთან.

გუშინ ექიმმა პაციენტს საავადმყოფოში დარჩენა და მკურნალობა ურჩია. ის კი ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს მოუწევს ზაგალოს ჰოსპიტალში ყოფნა.

მარიო ზაგალო ფეხბურთელობისას მსოფლიოს ჩემპიონი ორჯერ (1958, 1962) გახდა, 1970-ში კი უკვე თვითონ იყო მწვრთნელი ბრაზილიის იმ დიადი ნაკრებისა, რომელმაც მუნდიალი მესამედ მოიგო.

**ვაჟა ხუციშვილი**



მარიო ზაგალო: მალე კარგად ვიქნები

# ფიორე მანჩინისთან
## ო, რა კარგია

**გასულ** ზაფხულს, „ვალენსიაში“ გადასულ სტეფანო ფიორეს ესპანური კარიერა აშკარად არ აეწყო, რასაც ყველაზე კარგად თავად ფეხბურთელი ხედავს და სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობს. მას სურს, მილანის „ინტერში“ ითამაშოს და ყოფილი თავკაცი რობერტო მანჩინი მოძღვრავდეს.



სტეფანო ფიორე საცოლესთან ერთად

„მინდა, კიდევ ერთხელ ვიმუშაო მანჩინისთან. მის ხელში ყოველთვის კარგად ვთამაშობდი, რადგანაც ჩინებული მწვრთნელია. იგი ბოლომდე მენდობოდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“ — თქვა ფიორემ.

ტრანსფერით თავად „ინტერიცაა“ დაინტერესებული და მხარეები უკვე მოლაპარაკებასაც აწარმოებენ. ფიორეს აგენტ ფედერიკო პასტორელოს თუ დავუჯერებთ, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, ხოლო „ვალენსიას“ მხრიდან გაშვებაზე პრობლემა არ იქნება.

„იმედიანად ვართ და კარგი იქნება, თუ ყველაფერი მალე მოგვარდება. სტეფანო მანჩინის ძალიან დიდ პატივს სცემს და პირიქით“ — განაცხადა პასტორელომ.

შეგახსენებთ, რომ დამდეგ ზაფხულს „ნეროაძურის“ დატოვებას ემრე და ედგარ დავიდსი აპირებენ. შესაბამისად, მანჩინის ნახევარდაცვის გაძლიერება დასჭირდება. ფიორეს სახელს კი „ინტერის“ გარდა, „იუვენტუსსაც“ უკავშირებენ.

**გიორგი ძაძამიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი



მასიმო ამბროზინის თავურმა „მილანი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა

# მილანის ჩამოსახრჩობი თოკი გაწყდა

ეინდჰოვენი. „ფილიპსი". 35 100 მაყურებელი

## პსვ 3:1 მილანი (0:2)

1:0 პარკი (9), 2:0 კოკუ (65), 2:1 ამბროზინი (90), 3:1 კოკუ (90)

**პსვ**

1 გომესი

16 ლუსიუსი 4 ალექსი 5 ბუმა 3 ი. ლი

14 ფოგელი

6 ვან ბომელი 8 კოკუ

17 ფარფანი 7 პარკი

9 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

შეცვლა

ბუმა — 29 რობერტი (70)

**მილანი**

1 დიდა

2 კაფუ 13 ნესტა 31 სტამი 3 მალდინი

21 პირლო

8 გატუზო 23 ამბროზინი

22 კაკა 20 ზეედორფი

7 შევჩენკო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

შეცვლა

მალდინი — 4 კალაძე (46),
ზეედორფი — 15 ტომასონი (69)

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

ჯარიმა: 16-17; კუთხური: 2-6; კარისკენ დარტყმა: 6-5; კარში დარტყმა: 6-2; თამაშგარე: 0-6

**თამაშის** სტენოგრამულ აღწერას არ შევუდგებით, მხოლოდ რამდენიმე საკვანძო მომენტს გამოვარჩევთ. თუმცა ჯერ ის ვთქვათ, რომ „პსვ ეინდჰოვენმა" აშკარად დაჯაბნა ჩემპიონთა თასის ექვსგზის მფლობელი და გუს ჰიდინკის გუნდის გავარდნა საცოდაობაც იყო.

ჰოლანდიელებს პირველი გოლი სწრაფად რომ არ გაეტანათ, ეგებ ფინალში ვერგასვლას უფრო იოლად შეგუებოდნენ და თამაში ნაკლებ სანახავი გამოსულიყო, მაგრამ გაიტანეს — ჯი-სუნგ პარკმა, ვინაც „სან სიროზე" კარგი მომენტები გაანიავა, საგოლე იერიში თავად წამოიწყო და თავადვე დაასრულა. ამ იერიშში ახმახმა იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკმაც მიიღო მონაწილეობა, იაპ სტამი კი რას აკეთებდა, თავად ვერ გაეგო. ეს გოლი პირველი იყო „მილანის" კარში შვიდი მშრალი სალიგო თამაშის მერე.

ამის მერე კი ბურთი ორჯერ მოხვდა ძელს: მილანელი კაკას დარტყმული — უფრო ჩაწოდებას რომ გავდა — ეურელიო გომესის ზურგს უკან ჩაშვა და ძელმა მოიგერია, ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა კი თავურით აძგერა ბურთი ძელს.

ერთი ორი კარგი მომენტი „მილანს" კიდევ ჰქონდა, მაგრამ თამაში, ზემოთაც ვთქვით, მასპინძლებისა იყო.

მეორე გოლამდე ერთი ამბავიც ვახსენოთ — შესვენებისას ანჩელოტიმ პაოლო მალდინი კახა კალაძით შეცვალა. კაპიტანს თამაშის დაწყებისთანავე მეტოქის ფეხი ისეთი ძალით მოხვდა თავში, გასაკვირია, შესვენებამდეც როგორ გაძლო. გუშინ კი მალდინის ექიმებმა დიაგნოზი დაუდგინეს: მცირედი ტვინის შერყევა.

თამაშის განახლებიდან 20 წუთში პსვ-მ მეორე გაიტანა — ფილიპ კოკუ პასს ვარდნაში შეეგება და იმგვარად დაარტყა, დიდას ბურთი ფეხებს შუა გაუძვრინა.

თამაშის შემყურე კაცი ძნელად წარმოიდგენდა, ამის მერე პსვ ფინალს მიღმა თუ დარჩებოდა, მაგრამ...

რა ცოდვის ტირილი დატრიალდა „ფილიპსზე" ამბროზინის ბოლო წუთის გოლისას, ამის აღწერას გამოცდილი მწერლის კალამი სჭირდება, თუმცა აღწერის გარეშეც არ უნდა გაგიჭირდეთ წარმოდგენა. ჩვენ კი ისღა დავძინოთ, რომ ცოტა დრო კიდევ რომ ჰქონოდა, პსვ-ს მესამე გოლის გარდა ეგებ მეოთხეც შეეგდო, ისე იყო მომართული ფინალში გასასვლელად. მაგრამ დრომ სამილანოდ იმუშავა.

## იღბალი, კიდევ იღბალი და არაფერი იღბლის გარდა

„მატჩის ანალიზს აზრი არ აქვს. მეტოქემ დაგვჩაგრა და რაც ჩაფიქრებული გვქონდა ვერ შევასრულეთ — თქვა კარლო ანჩელოტიმ — მაგრამ მთავარი ის არის, რომ საოცარი იღბლის წყალობით ფინალში ვართ და უკან ყურებას ფინალზე ფიქრი გვიჯობს. თამაში სწრაფ ტემპში უნდა დაგვეწყო, პოზიციები უნდა გაგვემაგრებინა და ამით მეტოქისთვის სწრაფი გოლის გატანის შანსი მოგვესპო. ჩვენი გეგმა ასეთი იყო, მაგრამ როცა თამაში, რასაც ქვია, დავიწყეთ, უკვე 0:2-ს ვაგებდით. სიმართლე გითხრათ, სეზონმა ძალიან გადაგღალა, რაც კარგ გუნდებს ჩვენს წინააღმდეგ თამაშს უიოლებს. ხოლო პსვ რომ ძალიან კარგი გუნდია, თქმაც არ უნდა".

გუს ჰიდინკმა კი დაიჩივლა: „დიდებული საღამო იყო, მაგრამ ბოლო წუთზე განწყობა თავად წავიხდინეთ. როცა მსოფლიო კლასის გუნდი მთელი თამაშის მანძილზე ყელზე თოკშებმული გყავს და როგორც გინდა დაატარებ, ბოლოს კი ხელცარიელი რჩები, მეტი იმედგაცრუება რა უნდა იყოს. ფეხბურთის კანონი გვეუბნება, რომ საფინალო სასტვენამდე მოდუნება დანაშაულია. ჩვენ სწორედ ეს დანაშაული ჩავიდინეთ."

## ჰა, გაგახსენდა დეპორტივო?!

ნამატჩევს ალესანდრო ნესტამ აღიარა: „თამაში ისე დაიწყო, სწრაფად გაშვებულ პირველ გოლს ვგულისხმობ, შარშანწინდელი „დეპორტივო" გამახსენდა. მერეც, ბურთს ვერ ვაკონტროლებდით და ჩვენთვის ყველაფერი ძალიან ცუდად მიდიოდა. კიდევ კარგი, ბოლო ოც წუთში ავთამაშდით, თორემ საშინელება დაგვემართებოდა."

„დეპორტივო" კი გეხსომებათ — 2002-2003 წლების სეზონში, მეოთხედფინალში, „მილანმა ლაკორუნიელებს პირველი მატჩი 4:1 მოუგო, საპასუხოში 0:4 განადგურდა.

მასიმო ამბროზინიმ, ფილიპსური მატჩის გმირმა კი თქვა: „ყველა თამაშს თანაბრად მაღალ დონეზე ვერ ჩაატარებ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მანქანები ხომ არ ვართ. მეტოქემაც ამით ისარგებლა და გვანერვიულა."

ანდრეა პირლომ კი სირცხვილით გაწითლებულმა ილაპარაკა: „ფინალში ვართ, მაგრამ ფინალში ასეთი თამაშით გასვლა სირცხვილია. ხალხს პსვ-ს თამაში ჩვენსაზე ბევრად მეტად მოეწონა."

## მალდინის მაშ რამდენი? შვიდი!

მას მერე, რაც ორი წლის წინ, „მილანმა" ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსი" პენალტებში დაამარცხა, „შავ-წითელთა" დღევანდელი შემადგენლობიდან უმრავლესობას ფინალში თამაშის გამოცდილება აქვს. მაგრამ რა არის ერთი ფინალი, როცა ბებერი თუ უბერებელი პაოლო მალდინი კარიერაში მეშვიდე სალიგო ფინალს ჩაატარებს?

ჩამოვთვალოთ: მალდინი 1989, 1990, 1993, 1994, 1995, 2003 წლების ფინალების მონაწილეა, რომელთაგან ოთხი მოიგო.

ახლა კი ვთქვათ, რომ თუ მალდინი სტამბოლურ ფინალშიც ითამაშებს და „მილანი" მოიგებს, მაშინ კაპიტანი ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანოსა და ხოსე მარია ზარაგას რეკორდსაც გაიმეორებს — „რეალის" ოდინდელ სუპერვარსკვლავებს ხუთჯერ აქვთ ჩემპიონთა თასი მოგებული.

## მილანი და მილანელები

სტამბოლური ფინალის გარდა, „მილანს" სხვა ფინალიც ელის — სერია A-ს უახლოეს ტურში, კვირას „იუვენტუსს" ხვდება და ვინძლო, სწორედ ეს მატჩი გამოდგეს გადამწყვეტი სკუდეტოსთვის ბრძოლაში.

აქამდე მხოლოდ ორჯერ მომხდარა, რომ იტალიურ კლუბს ერთ სეზონში ჩემპიონთა თასიც მოეგოს და სკუდეტოც. ორივეჯერ ეს ამბავი მილანში მოხდა: 1965 წელს დუბლი „ინტერმა" გააკეთა, 1994-ში კი ფაბიო კაპელოს „მილანმა"...

**ირაკლი ნინიძე**

# ეს რა ჩაიდინე რობერტო? კარპინმა რეალს ფული სთხოვა

*რობერტო კარლოსის ამასწინანდელმა ნათქვამმა, ხოსე ამორურტუს „სოსიედადი“ „ბარსელონასთანაა“ შეკრული და პრიმერა-დივიზიონის ბოლო ტურში კატალონიელებს „რეალის“ გულის გასახეთქად სამ ქულას დაუნანებლად მისცემსო, ესპანეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია*



ვალერი კარპინი

**გუშინ** იქაური მედია რამდენიმე ფეხბურთელს გაესაუბრა და აღმოჩნდა, რომ ეჭვიანი ბრაზილიელის მოსაზრებებს უცხოც უარყოფითად ეკიდება და შინაურიც.

„რობერტო კარლოსს ვერ დავეთანხმები. ეს იმას ნიშნავს, რომ „სოსიედადი“ უპრინციპო, არაპროფესიონალებისგან შემდგარი კლუბია. არადა, ასე ნამდვილად არაა. ვერ წარმომიდგენია, ამა თუ იმ გუნდისადმი სიმპათიების გამო მეტოქეს რანაირად უნდა „დაუწვე“ — ეს სიტყვები, არც მეტი, არც ნაკლები... თავად „რეალის“ ნახევარმცველ ალბერტ სელადესს ეკუთვნის, „ელ მუნდო დეპორტივოს“ ფურცლებზე რომ ამოვიკითხეთ.

რობერტო კარლოსს მეტად მწარე პასუხი გასცა „სოსიედადის“ რუსმა ვალერი კარპინმა: „რა გამოდის? თუ წლეულს „რეალი“ ჩემპიონი ვერ გახდა, ჩვენი ბრალია და არა იმისა, რომ მადრიდელები ბარსელონელებს 6 ქულით ჩამორჩებიან? კი, ბატონო, მაშინ რადგან „ბარსას“ ასპროცენტიან გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ, საკუთარ თავის სასარგებლოდ თვითონაც გაისარჯონ — ჩვენ ხომ გამყიდველების გუნდი ვართ, გადმორიცხონ მადრიდიდან „სოსიედადის“ ანგარიშზე გარკვეული თანხა და მორჩა, „ძმაკაც“ „ბარსელონას“ ბდღვირს ვადენთ. მერე ჩემპიონიც „რეალი“ გახდება და ბრაზილიელიც ღამღამობით მშვიდად დაიძინებს“.

**ლადო ხომერიკი**

# მონტოია მოგვარემ გაიმეტა



ფერნანდო მონტოია

**კოლუმბიის** დედაქალაქ მედელინის სასამართლომ იქაურ სახელგანთქმულ მწვრთნელზე, ფერნანდო მონტოიაზე თავდასხმაში ბრალდებულ დამნაშავეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

შეგახსენებთ, რომ „ონსე კალდასის“ დამრიგებელი გასული წლის დეკემბერში, მძარცველებმა მძიმედ დაჭრეს, რის გამოც საბრალო მონტოია დახეიბრდა.

„მსგავსი შემთხვევები რაც შეიძლება მკაცრად უნდა დაისაჯოს, რადგან ბოლო პერიოდში ფეხბურთელებზე და საერთოდ, სპორტის სფეროში მოღვაწე ხალხზე აგრესიულმა თავდასხმამ კატასტროფულად იმატა“ — ვკითხულობთ კოლუმბიურ გაზეთებში.

ყველაზე საინტერესო კი შეიარაღებული მძარცველის გვარი გახლავთ — კაცი, რომელმაც ფერნანდო მონტოია, ალბათ, სამუდამოდ მიაჯაჭვა ინვალიდის სავარძელს, გვარად თავადაც მონტოიაა, ოღონდ ედილბერტო. მისი თანამზრახველები კი ჯერჯერობით ისევ ნავარდობენ.

**ლადო ხომერიკი**

## ინგლისი

### პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

**ფულემი 1:3 ნიუკასლი**

0:1 ამბროზი (19), 0:2 კლუივერტი (61), 0:3 ამეობი (75), 1:3 რაძინსკი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 35 | 27 | 7 | 1 | 67:13 | 88 |
| არსენალი | 35 | 23 | 8 | 4 | 76:33 | 77 |
| მანჩესტერი | 35 | 21 | 10 | 4 | 54:21 | 73 |
| ევერტონი | 35 | 17 | 7 | 11 | 41:36 | 58 |
| ლივერპული | 36 | 16 | 7 | 13 | 49:37 | 55 |
| ბოლტონი | 36 | 15 | 9 | 12 | 45:41 | 54 |
| ტოტენჰემი | 36 | 14 | 9 | 13 | 47:40 | 51 |
| მიდლსბრო | 36 | 13 | 12 | 11 | 51:45 | 51 |
| სიტი | 36 | 12 | 12 | 12 | 44:37 | 48 |
| ასტონ ვილა | 36 | 12 | 11 | 13 | 43:48 | 47 |
| ჩარლტონი | 36 | 12 | 9 | 15 | 40:55 | 45 |
| ნიუკასლი | 36 | 10 | 13 | 13 | 46:54 | 43 |
| ბირმინგემი | 36 | 10 | 12 | 14 | 38:44 | 42 |
| ბლექბერნი | 36 | 9 | 14 | 13 | 31:40 | 41 |
| პორტსმუთი | 36 | 10 | 8 | 18 | 42:56 | 38 |
| ფულემი | 36 | 10 | 8 | 18 | 43:59 | 38 |
| საუთჰემპტონი | 36 | 6 | 13 | 17 | 42:62 | 31 |
| კრ. პალასი | 36 | 7 | 10 | 19 | 37:58 | 31 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 5 | 15 | 16 | 33:60 | 30 |
| ნორვიჩი | 36 | 6 | 12 | 18 | 41:71 | 30 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა

გადადებული მატჩი

**რაპიდი 5:0 ზალცბურგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 30 | 18 | 8 | 4 | 54:22 | 62 |
| აუსტრია | 29 | 16 | 9 | 4 | 51:17 | 57 |
| გრაცერი | 30 | 17 | 5 | 8 | 48:25 | 56 |
| პაშინგი | 30 | 17 | 5 | 8 | 49:37 | 56 |
| მატერსბურგი | 31 | 11 | 7 | 13 | 42:50 | 40 |
| ტიროლი | 31 | 9 | 9 | 13 | 41:44 | 36 |
| ადმირა | 30 | 10 | 6 | 14 | 33:48 | 36 |
| შტურმი | 31 | 8 | 8 | 15 | 28:42 | 32 |
| ზალცბურგი | 31 | 6 | 7 | 18 | 29:48 | 25 |
| ბრეგენცი | 31 | 4 | 8 | 19 | 26:68 | 20 |

## პოლონეთი

### პირველი ლიგა

გადადებული მატჩები

**პოლონია 1:0 ამიკა**

**გურნიკი 0:0 ლეგია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 20 | 15 | 5 | 0 | 59:13 | 50 |
| გროცლინი | 20 | 12 | 2 | 6 | 39:22 | 38 |
| ლეგია | 20 | 9 | 7 | 4 | 25:15 | 34 |
| კრაკოვია | 20 | 9 | 4 | 7 | 26:18 | 31 |
| ამიცა | 20 | 8 | 6 | 6 | 24:22 | 30 |
| გურნიკი | 20 | 7 | 7 | 6 | 25:20 | 28 |
| პლოცკი | 20 | 8 | 4 | 8 | 28:28 | 28 |
| პოლონია | 20 | 7 | 5 | 8 | 23:37 | 26 |
| ლეჩნა | 20 | 7 | 4 | 9 | 29:31 | 25 |
| ზაგლებე | 20 | 5 | 8 | 7 | 25:34 | 23 |
| ლეხი | 20 | 6 | 4 | 10 | 24:34 | 22 |
| პოგონი | 20 | 5 | 7 | 8 | 24:36 | 22 |
| ოდრა | 20 | 5 | 3 | 12 | 19:30 | 18 |
| კატოვიცე | 20 | 2 | 4 | 14 | 20:50 | 10 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა

გადადებული მატჩები

**შაფჰაუზენი 1:1 აარაუ**

**ქსამაქსი 0:4 ბაზელი**

**სენტ გალენი 1:2 თუნი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 30 | 18 | 7 | 5 | 71:39 | 61 |
| თუნი | 29 | 17 | 4 | 8 | 61:30 | 55 |
| გრასჰოპერი | 30 | 10 | 13 | 7 | 40:42 | 43 |
| იანგ ბოისი | 29 | 10 | 10 | 9 | 50:46 | 40 |
| ციურიხი | 29 | 10 | 8 | 11 | 43:50 | 38 |
| ქსამაქსი | 28 | 10 | 6 | 12 | 33:36 | 36 |
| სენტ გალენი | 29 | 7 | 10 | 12 | 40:50 | 31 |
| აარაუ | 30 | 7 | 9 | 14 | 40:59 | 30 |
| შაფჰაუზენი | 30 | 5 | 10 | 15 | 31:53 | 25 |

## ამხანაგური მატჩი

**ეკვადორი 1:0 პარაგვაი**

1:0 ესპინოზა (50)

Copa Toyota Libertadores 2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

**IV ჯგუფი. V ტური**

**დეპორტივო ტაჩირა** (ვენესუელა) **1:2 პალმეირასი** (ბრაზილია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერო პორტენო | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | 11 |
| პალმეირასი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| სანტო ანდრე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| დეპორტივო ტაჩირა | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | 3 |

**VIII ჯგუფი. VI ტური**

**ბოკა ხუნიორსი** (არგენტინა) **3:0 დეპორტივო კუენსა** (ეკვადორი)

**პაჩუკა** (მექსიკა) **2:0 სპორტინგ კრისტალი** (პერუ)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 6 | 4 | 1 | 1 | 14:3 | 13 |
| 13223 ვალენსია-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | ლუწი | კენტი |
|---|---|---|
| 17004 ჩელსი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17006 კრისტალ პალასი-საუთჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 ევერტონი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17008 მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17009 ნორვიჩი-ბირმინგემი | 1.85 | 1.95 |
| 17010 პორტსმუთი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17011 ასტონ ვილა-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17012 ბლექბერნი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17013 მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17015 არსენალი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17080 არმინია-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17082 ფრაიბურგი-კაისერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17084 ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17085 ლევერკუზენი-ჰანსა | 1.85 | 1.95 |
| 17087 მაინცი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17089 ნიურნბერგი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17090 შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17092 ჰამბურგი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17093 დორტმუნდი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17171 ატალანტა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17172 ბრეშა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17175 კიევო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17176 ლაციო-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17178 მილანი-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17179 პარმა-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17181 სამპდორია-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17212 ალბასეტე-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17213 ბილბაო-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17214 ბეტისი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17215 ესპანიოლი-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |
| 17217 ხეტაფე-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17218 დეპორტივო-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17219 მალაგა-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17221 რეალი-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17223 ვალენსია-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15004 ჩელსი-ჩარლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 კრ. პალასი-საუთჰემპტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 ევერტონი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 მიდლსბრო-ტოტენჰემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 ნორვიჩი-ბირმინგემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 პორტსმუთი-ბოლტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15011 ასტონ ვილა-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15012 ბლექბერნი-ფულემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15013 მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15015 არსენალი-ლივერპული | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15080 არმინია-შალკე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 ფრაიბურგი-კაისერსლაუტერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 ჰერტა-ვოლფსბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 ლევერკუზენი-ჰანზა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15087 მაინცი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15089 ნიურნბერგი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15090 შტუტგარტი-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15092 ჰამბურგი-მიონხენგლადბახი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15093 დორტმუნდი-ვერდერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15171 ატალანტა-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15172 ბრეშა-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15175 კიევო-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15176 ლაციო-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15178 მილანი-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15179 პარმა-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15181 სამპდორია-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15212 ალბასეტე-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15213 ბილბაო-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15214 ბეტისი-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15215 ესპანიოლი-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15217 ხეტაფე-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15218 დეპორტივო-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15219 მალაგა-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15221 რეალი-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15223 ვალენსია-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## საქართველოს ჩემპიონატი

ირაკლი პერტაია

# ავიამშენმა ფრთები გაშალა

## კერკეტი თსუ მაინც გატყდა

5 მაისი. ვერის ბაღი

ნახევარფინალი

**ავიამშენი 1:0 თსუ**

**ავიამშენი 92:86 თსუ**

24:21 24:19 19:19 25:27

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (8), ხოშტარია (18), ორმოცაძე (4), ნინიაშვილი (23), შენგელია (15); თორთლაძე (15), ბოლქვაძე (7), ბერძენიშვილი (2), წოწელია, დოლიძე

**თსუ:** ვეფხვაძე (20), ი. მაისურაძე (16), ფანჩულიძე (6), მ. ბერიშვილი (20), სანიკიძე (4); ბერაია (18), გაფრინდაშვილი (2), ხიზანიშვილი, კოკოლიშვილი

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე



ირაკლი ხოშტარია თსუ-ს დაცვასთან ბრძოლაში

„ავიამშენს“ ნახევარფინალში მეტოქედ „დინამოს“ ნაცვლად თსუ ერგუნა. იმიტომაც გაუჭირვა — რეგულარულის ბოლო ტურში „სტუ-ჯეოსელი“ 34 ქულით დაამარცხა და ფინალში გასასვლელად ახლა სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან უწევს ბრძოლა. თუმცა, როგორც ჩანს, არც თსუ-ა ხელწამოსაკრავი მეტოქე — გუშინ „ავიატორებს“ დიდი ძალისხმევა დასჭირდათ სერიაში დასაწინაურებლად.

თამაში ძირითადად „ავიამშენის“ უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა ლევან მოსეშვილის გუნდს ისეთი ლიდერობა არ მოუპოვებია, გული დაემშვიდებინა. თსუ ნიადაგ ჩასაფრებული იყო და მეტოქეს პატარა შეცდომასაც არ პატიობდა.

თავიდან კი მდევრის როლში „ავიატორები“ იყვნენ. სანამ მოსეშვილის გუნდი თამაშს დაალაგებდა, თსუ-მ გაილაშქრა სტუდენტების ჩვეულებრივ სწრაფი რაქტები (...) და უსწრაფესი შეტევებით ცდილობდნენ გვარიანი უპირატესობის დაჭერას.

სტუდენტების მასრი იარაღი ნიკა ვეფხვაძის გარღვევები იყო. იგი არავის და არაფერს არ ერიდებოდა, ისე შედიოდა მეტოქის ფარქვეშ და უმეტეს შემთხვევაში შეტევას შედეგიანად აგვირგვინებდა. შედეგად თსუ 9:4 დაწინაურდა, თუმცა შემდეგ ვეფხვაძესაც დაუბლაგვდა მიზანი, „ავიატორებმა“ კი ნელ-ნელა ფრთები გაშალეს და მეშვიდე წუთისთვის პირველად დაწინაურდნენ — 11:10.

ასასობაში თსუ-ს მწვრთნელმა მამუკა ტურაშვილმა მისთვის ჩვეულ ჩქარ შეცვლებს მიმართა და დამწყები ხუთეული მთლიანად გადაახალისა. ახალგამოსულმა ძველგვარდიელებმა სამქულიანების ლაწალუწი ატეხეს, თუმცა რკინის რკალში ბურთს ვერაფრით ვერ აძვრენდნენ.

თსუ-ელები ფარქვეშ იმიტომ აღარ შედიოდნენ, რომ იქ „ავიამშენის“ ტანმაღალ მოთამაშეებს — კახა შენგელიას და თორნიკე ნინიაშვილს დაებუდებინათ. სწორედ ამან, ფარქვეშ ძალთა გადაჯგუფებამ გაუმართლა ლევან მოსეშვილს — მისმა შეგირდებმა სამწამიანში ფეხი გაიმაგრეს და ფარქვეშეის სრულად დაეპატრონენ.

ვეებერთელა მასის მქონე შენგელიას სტუდენტები მხოლოდ ჯარიმებით თუ აჩერებდნენ. საერთოდ, პერსონალური შენიშვნები და საპენალო ტყორცნები ამ მატჩში, განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში, საკმარისზე მეტი იყო. საწყის 14 წუთში უკვე 28 საჯარიმო ტყორცნა განხორციელდა და ამათი უმეტესობა „ავიატორებმა“ შეასრულეს. მაგრამ რად გინდა, მიზანში იშვიათად არტყამდნენ და ისეთი უპირატესობა ვერაფრით მოიხელთეს, მეტოქე რომ წელში გაეტეხათ.

პირველი ტაიმის მიწურულს, როგორც იქნა, „ავიამშენმა“ თამაში დაალაგა და საგრძნობ უპირატესობასაც მიაღწია. მოედანზე დავით თორთლაძე გამოჩნდა, რომელმაც უკანა ხაზი გაუძლიერა „ავიატორებს“, სამქულიანებიც [illegible] აქეთა და დიდ[illegible] მოსეშვილის გუნდი 8-ქულიანი ფორით გავიდა.

მესამე მეოთხედში მოედანზე პირველად გამოჩნდა ტანმაღალი დავით ბერძენიშვილი, რომელმაც ახალი სისხლი შემატა „ავიამშენის“ წინა ხაზს და მესამე მეოთხედიც ისე გაილია, მოსეშვილის გუნდმა 8-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა — 67:59.

ყველას ეგონა, სტუდენტები გატყდებოდნენ, მაგრამ ტურაშვილის საშწყსომ უსწრაფესად დაიწყო გადამწყვეტი მეოთხედი და ორწუთიანი მონაკვეთი 9:2 მოიგო. ირაკლი მაისურაძე და ნიკა ვეფხვაძე შურდულივით დაქროდნენ „ავიამშენის“ დაცვაში და როცა ახალგაზრდა მიხეილ ბერიშვილმა თავისი მეხუთე სამქულიანი ჩააგდო, სირენამდე 6 წუთით ადრე თსუ დაწინაურდა — 71:70.

თამაშს მცირე სენსაციის სუნი დაეტყო, რეგულარული ჩემპიონატის მომგები მეოთხედფინალისთან საგრძნობ უპირატესობას ანიავებდა, თუმცა „ავიამშენში“ იმდენი გამოცდილი მოთამაშეა, ასე იოლად არ დაიბნეოდნენ და ლევან მოსეშვილის ბიჭებმაც მისცხეს, მაგრამ რა მისცხეს... სულ რაღაც 40 წამში ნინიაშვილის, თორთლაძისა და ნიკოლაძის ზუსტი ტყორცნებით 10 უპასუხო ქულა მოიხვეჭეს და თამაშის ბედიც ფაქტობრივად გადაწყვიტეს.

თუმცა არც აქ დანებდა თსუ. იმავე მაისურაძისა და ვეფხვაძის მონდომებით სტუდენტები სამი ქულით მიუახლოვდნენ „ავიატორებს“, მაგრამ საბოლოო წარმატების მისაღწევად ძალა და ილაჯი აღარ ეყოთ.

დღეს, 5 საათზე, მეორე მატჩია და თუ ასეთივე შედეგით დასრულდა, „ავიამშენი“ ფინალისტია.

# სტუ-ს ცქიტიშვილმა და კეიდიამ უშველა

## დინამოს ორმაგი სახე

5 მაისი. ვერის ბაღი

ნახევარფინალი

**სტუ 1:0 დინამო**

**სტუ 82:71 დინამო**

23:25 20:15 25:18 14:13

**სტუ:** დ. ბერიშვილი (12), გოგობერიშვილი (11), მარკოიშვილი (12), შანიძე (14), ჯაფარიძე (12); კეიდია (14), მიქაძე (7)

**დინამო:** გამყრელიძე, ხეცურიანი (12), ბ. ბერიშვილი (26), ჩხატარაშვილი (12), კილაძე (5); ლაფანაშვილი (9), კვიმსაძე (4), ლოსაბერიძე (3), სუხიშვილი, ბექაური

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ გელოვანი



მარჯვნიდან: ნიკა ცქიტიშვილი, კოტე ტულუში და ვახტანგ მინაშვილი



ირაკლი კეიდია

„სტუ-ჯეოსელს“ ბოლო წუთებამდე ეგონა, რომ ნახევარფინალში მინათესავე თსუ-ს ხვდებოდა, თუმცა სხვა მეტოქის გამოჩენამ სულაც არ დააბნია. ტექნიკოსებმა სერიის პირველ მატჩში „დინამო“ იოლად დაჯაბნეს და ცალი ფეხით უკვე ფინალში არიან.

იოლად დაჯაბნესო, ვთქვით, მაგრამ მესამე მეოთხედის ბოლომდე ისეთი თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, როგორც იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანდა. ეს პერიოდი წყალგამყოფ ზოლად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომლის ერთ მხარეს მებრძოლი და შეუპოვარი, ხოლო მეორე მხარეს უძლური და გადაღლილი „დინამო“ დგას.

დინამოელებმა მთელი სული და გული თამაშის საწყის ტაიმში ჩააქსოვეს და ამიტომ ტექნიკოსები ძირითადად მდევრის როლში იყვნენ. ასე იქამდე გაგრძელდა, სანამ ვიცე-ჩემპიონებს შორი ტყორცნები მისდიოდათ, ხოლო მეტოქის დაცვაში დიდი ძალისხმევის გარეშე პოულობდნენ გამჭოლ ბზარებს.

სტუ-მ არაერთი ტაქტიკური მანევრის შემდეგ გადაწყვიტა, რომ დაცვა გაემაგრებინა და ამის განხორციელება ზონის დაყენებით გადაწყვიტა. ამ ტაქტიკამ გაამართლა, რადგან „დინამო“ შორიდან ველარ ჩუბინობდა, ხოლო ტექნიკოსთა დაცვა საიმედოდ იდგა და ფარქვეშ სტუ-ს პრობლემა არ შექმნია.

ერთიც იყო, რამაც თამაშის შედეგზე არაპირდაპირი, შეიძლება ითქვას, ფსიქოლოგიური გავლენა იქონია. მესამე მეოთხედში დარბაზში ნიკა ცქიტიშვილი, დრაფტის მე-5 ნომერი და სეზონის „გოლდენ სტეიტში“ გამსრულებელი 215-სანტიმეტრიანი კალათბურთელი გამოჩნდა. ვერ ვიტყვით, ამისბრალი იყო თუ უბრალოდ დაემთხვა, მაგრამ „ცქიტოს“ გამოჩენისთანავე მისი ბავშვობის მეგობარი, სტუ-ს ფორვარდი ირაკლი კეიდია შესანიშნავად ათამაშდა. „კედო“ მანამდეც იყო მოედანზე, მაგრამ ძირითადად უშედეგო თამაშითა და ხელსაყრელი პოზიციებიდან გაცუდებული ტყორცნებით გამოირჩა. მოვიდა ცქიტიშვილი და კეიდიაც აბობოქრდა — რამდენიმე სამქულიანი ჩააგდო, ფარქვეშაც რიხით დაბზრიალდა და საბოლოოდ სტუ-ელთა თანაბომბარდირიც გახდა ირაკლი შანიძესთან ერთად.

სწორედ კეიდიას მესამე მეოთხედის ბოლო წამებზე ნატყორცნმა დააფიქსირა ტექნიკოსთა ყველაზე დიდი უპირატესობა და უკანასკნელ შესვენებაზე სტუ ათქულიანი ფორით გავიდა.

ბოლო მეოთხედი კი მთლად ფორმალამდე იქცა. იმის მაგივრად, რომ „დინამოს“ შეეტია, პირიქით მოხდა. არა, დინამოელები უტევდნენ, მაგრამ უშედეგოდ, რასაც ვერ ვიტყვით სტუდენტებზე და როცა რამაზ გოგობერიშვილმა მორიგი შეტევა შედეგიანად დააგვირგვინა, ტექნიკოსთა უპირატესობამ 13 ქულას მიაღწია. სირენამდე 2 წუთი რჩებოდა, „დინამო“ კი თამაშის შემომტრიალებელს არ ჰგავდა და ვერც შემოატრიალა.

**მატჩი მე-5-8 ადგილებისთვის**

**თუჯი 118:55 სსუ**

**მაკაბი 81:78 ბურჯი**

# NBA PLAY OFF 2005

# არენასი არენაზე

## ვაშინგტონმა ხარებს რქები მოამტვრია

— 4 მაისი —

### აღმოსავლეთი

ჩიკაგო 2:3 ვაშინგტონი

**ჩიკაგო 110:112 ვაშინგტონი**

**ჩიკაგო:** დუპონი (8), ჰაინრიხი (23), ნოჩიონი (3), დევისი (3), ჰარინგტონი (12); გორდონი (27), ჩანდლერი (22 ქულა, 10 მოხსნა), პარგო (10), გრიფინი (2), პიატკოვსკი, ფანდერბურკი

**ვაშინგტონი:** არენასი (16 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა), ჰიუზი (33 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ჯემისონი (19 ქულა, 10 მოხსნა), ჯეფრისი (12), ჰეივუდი (17 ქულა, 7 მოხსნა, 5 დაფარება); დიქსონი (6), რუფინი (6), ტომასი (3), პილერი

**პლეი ოფში** ბოლო რვა წელიწადში პირველად მოხვედრილ „ვაშინგტონს" სულ ერთი გამარჯვება აშორებს ბოლო 23 წელიწადში პირველი კონფერენციის ნახევარფინალამდე.

ვერ ვიტყვით, რომ ჩიკაგოში მოგება გაუჭირდა, პირიქით, „ვაშინგტონს" ამ თამაშში მოულოდნელად ყველაფერი კარგად გამოსდიოდა, რაკილა ლიდერთა ტრიოს მხარდამხარ სხვა დედაქალაქელებიც სანაქებოდ ირჯებოდნენ. ორი მეფარე ჯარედ ჯეფრისი და ბრენდან ჰეივუდი აქამდე მხოლოდ სტატისტების როლს ასრულებდნენ „ვიზარდსის" ხუთეულში, ახლა კი არენას-ჰიუზ-ჯემისონის ტრიოსთან ერთად მათაც აატკივეს თავი ჩიკაგოელებს. ორივემ ჯამში 29 ქულა და 15 მოხსნა მიაშველა თავისიანებს და მათი გუნდი ისე იოლად მოსწყდა მასპინძლებს, იფიქრებდით, ამ მეორე გუნდს პლეი ოფში რა ესაქმებაო. მესამე მეოთხედში 22 ქულით დაწინაურებულ სტუმრებს ეგონათ, ეგ არის, ყველაფერი მოვამთავრეთო, თუმც „ჩიკაგომ" თავისი მაინც გააკეთა და მანამდე დაკარგული ბოლო მეოთხედში ამოიღო. ორი დღის წინ სეზონის საუკეთესო სათადარიგოდ დასახელებულმა ჩიკაგოელმა ბენ გორდონმა, ასევე სათადარიგო ტაისონ ჩანდლერთან ერთად იმდენი ქნა, ამ 22-ქულიან სხვაობას 12 ჩამოაჭრა. „ვიზარდსს" თითქოს მაინც არაფერი ემუქრებოდა, მატჩის დამთავრებამდე 40 წამით ადრე 10 ქულით ლიდერობდა, მაგრამ კიდევ ერთმა ჩიკაგოელმა რეზერვისტმა, ვინმე ჯენარო პარგომ მთლად სასწაულები აკეთა — ზედიზედ 3 სამქულიანი ტყორცნა და 5 წამით ადრე ანგარიში გაათანაბრა 110:110.



სანანტონიოელი ტონი პარკერი დენვერელ ერლ ბოიკინს გაურბის

„ვაშინგტონმა" მაინც ოვერტაიმში უჯახიროდ გარეშე იმარჯვა. მისმა მთავარმექულე ჯილბერტ არენასმა გადამწყვეტ ტყორცნას 5 წამიც ამყოფინა — მეურვე კირკ ჰაინრიხს გაექცა და ოთხიოდე მეტრიდან სედ სირენის თანხლებით ჩაუშვა გამარჯვების ბურთი „ბულზის" კალათში.

### დასავლეთი

სან ანტონიო 4:1 დენვერი

**სან ანტონიო 99:89 დენვერი**

**სან ანტონიო:** პარკერი (21), ბერი (3), ბოუენი (5), დანკანი (18 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება), მუჰამედი (10 ქულა, 13 მოხსნა); ჯინობილი (18), ჰორი (17), რობინსონი (7), უდრიჰი, ნესტეროვიჩი

**დენვერი:** მილერი (16), ბოიკინსი (14), ენტონი (15), მარტინი (14), კემბი (6 ქულა, 10 მოხსნა), ნენე (11), პერსონი (3), ბაკნერი, რასელი

**„ბედნიერი** ვარ, რომ ყველაფერი დამთავრდა. ეს რა მონსტრი გუნდი იყო, ნერვები დაგვაწყვიტა" — ამ სიტყვებს ისეთი დაქანცული სახით ამბობდა გრეგ პოპოვიჩი, თითქოს მისმა შეგირდებმა, ეს-ეს არის, ფინალი მოიგეს და, როგორც იქნა, დასვენებაც ეღირსებათო. „სან ანტონიომ" ერთი შეხედვით, დამაჯერებლად, 4:1 დაამარცხა „დენვერი", თუმც ისე გაწვალდა, მოთამაშეებს ნამატჩევს ჟურნალისტებთან საუბრის თავიც აღარ ჰქონდათ.

„დენვერი" ჩიხში მომწყვდეული დაჭრილი ნადირივით იბრძოდა. გაიჭირვებდნენ სანანტონიოელები, დაწინაურდებოდნენ ორიოდე ქულით და რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ თავიდან უხდებოდათ ყველაფრის დაწყება. მასპინძელთა სათადარიგო რობერტ ჰორიმ მესამე მეოთხედში წყვილი სამქულიანი რომ ჩაუგდო „დენვერს", სანანტონიოელებმა იფიქრეს, ახლა კი გავტეხთ ამ კერკეტ კაკალსო, მაგრამ ნურას უკაცრავად, „ნაგიტსმა" დამხვდურებს ბოლო მეოთხედშიც დააწყვიტა ნერვები. „სფურზის" ძალა რომ ეცლებოდა, მაშინ უშველა სათადარიგო გლენ რობინსონმა, ამ სეზონის შუაწელს უხეირო „ნიუ ორლეანიდანაც" კი გამოგდებულმა და „სან ანტონიოში" სამადლოდ აყვანილმა ნავარსკვლავარმა, ვინაც ბოლო მეოთხედში ერთ ეპიზოდში ჯერ ორიანი ჩააგდო და ამას სამქულიანიც მიაყოლა, რითაც მასპინძლები 80:72 დააწინაურა.

„რა გითხრათ, ჩვენ მთელი სერიის განმავლობაში ბოლომდე ვებრძოდით ლიგის საუკეთესო გუნდს, დღესაც თამაშის დამთავრებამდე 3-4 წუთით ადრე თუ შევწყვიტეთ ბრძოლა" — ამბობდა „დენვერის" ახალგაზრდა ლიდერი კარმელო ენტონი. მისი თანაგუნდელი კენიონ მარტინი კი მეტოქეზე უფრო საუბრობდა: „ორი წლის წინათ მათ ტყუილად არ მოიგეს პლეი ოფი. „სფურზი" დიდი, ნამდვილი გუნდია." მარტინს, ცხადია, კარგად ახსოვს 2003 წლის ფინალი, რომელშიც „სფურზმა" 4:2 დაამარცხა მისი „ნიუ ჯერსი".

„სან ანტონიო" მეორე წრეში „სიეტლს" შეხვდება.

# ახალი ემეკა კარგად ჰყრის



**ორიოდე** დღის წინ ჩიკაგოელმა ბენ გორდონმა სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშის, ანუ სათადარიგოს ტიტული რომ მოიპოვა, პირველი მილოცვა შარლოტელი ემეკა ოკაფორისგან მიიღო. ერთი დღის შემდეგ კი პირიქით გრდონმა მიულოცა ოკაფორს სეზონის საუკეთესო ახალბედად აღიარებაა.

ეს ორი ჯეელი არცთუ დიდი ხნის წინ თანაგუნდელები გახლდნენ, სანამ ნბა-ს კარს შეაჭრიალებდნენ, კონექტიკუტის უნივერსიტეტში მხარდამხარ თამაშობდნენ და 2004 წელს სტუდენტური ჩემპიონატიც ერთად მოიგეს. და მათი მეგობრობა წამითაც არ შერყეულა, მიუხედავად იმისა, რომ ოკაფორს ამ ტიტულის მთავარ მოცილედ სწორედ გორდონი ჰყავდა. საბოლოოდ შარლოტელმა გამოკითხვაში 514 ქულა მიიღო, ჩიკაგოელმა — 443. მესამე ადგილი ერგო ორლანდოელ დუაიტ ჰოვარდს, ვინაც 161 ქულა დააგროვა.

208-სანტიმეტრიანი ოკაფორი იმ მოთამაშეთაგანია, ვინც ამ სეზონში საშუალოდ 10 ქულაზე და 10 მოხსნაზე მეტს აგროვებდა. პირველივე სეზონში „შარლოტ ბობქეთსის" ლიდერად ქცეული ემეკას მონაგარმა 15,1 ქულა და 10,9 მოხსნა შეადგინა, რითაც მან ორივე მაჩვენებელში აჯობა სხვა ახალბედებს.

**კოტე ყორშია**





ჟაკ როგი

# ცივილიზაციის კარნახი

## დაივიწყეთ ბეისბოლი, სოფტბოლი, ჭიდაობა და მისთანები

**სპორტის** მკვლევართა აზრით, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ საზოგადოება უფრო ცივილიზებული გახდება, რაც გამოიწვევს სპორტის ისეთი სახეობების მივიწყებას, რომლებიც ორთაბრძოლებზეა დაფუძნებული (კრივი, ჭიდაობა, ფარიკაობა და მისთანანი). სამაგიეროდ, უფრო პოპულარული გახდება სათამაშო სახეობები.

ეტყობა, საქმე მართლაც აქეთკენ მიდის, ყოველ შემთხვევაში ჟენევაში შეიკრიბებიან 28 ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სახეობათა წარმომადგენლები და რიგგარეშე სხდომას გამართავენ. ისინი განიხილავენ 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების გეგმას, მათი რიგგარეშე შეკრება კი განპირობებულია იმ განცხადებით, რომლის მიხედვითაც ივნისში სინგაპურში გასამართ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე თითეული სახეობისთვის გაიმართება კენჭისყრა, რის შედეგადაც რომელიმე მათგანი შესაძლოა ოლიმპიური პროგრამიდან ამოიღონო.

სპორტის ზოგიერთი ნაკლებად პოპულარული სახეობის წარმომადგენლები ძალზე არიან შეშფოთებულნი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგის გეგმებით, რომლის მიხედვითაც დადგა დრო ახლებურად შევხედოთ ოლიმპიური თამაშების პროგრამას.

კენჭისყრა სპორტულ ფედერაციათა წარმომადგენლების აზრით, გამოიწვევს ერთის მხრივ ცალკეულ სახეობათა დაპირისპირებას, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა მძაფრ ლობირებას ამა თუ იმ სახეობის მიმართ, რაც შესაძლოა, უანგაროდ სულაც არ მოხდეს.

სამი წლის წინათ სცადეს კიდეც ოლიმპიური პროგრამიდან ბეისბოლის, სოფტბოლისა და თანამედროვე ხუთჭიდის ამოღება, რომელიც თანამედროვე ოლიმპიური თამაშების მამამთავარმა პიერ დე კუბერტენმა გამოიგონა.

სამი წლის წინანდელი ცდისას სოკ-ის წევრები ამ გეგმის წინააღმდეგ წავიდნენ, რის შემდეგაც ეს საქმე კენჭისყრამდე აღარ მივიდა.

ჟაკ როგს სურს, ოლიმპიურ პროგრამაში ჩართოს სპორტის სხვა სახეობები, მაგალითად, გოლფი და რაგბი, მაგრამ ამას ხელს უშლის ერთი წინაღობა — ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამამ არ უნდა გადააჭარბოს 28 სპორტის სახეობას, 301 დისციპლინას და 10500 სპორტსმენს.

სხვათა შორის, დოქტორი ჟაკ როგი თავის დროზე მორაგბე იყო პარალელურად იალქნოსნობასაც მისდევდა და ამ სახეობაში ოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობდა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ვენა-ინსბრუკი

# სკანდალების დღე

**ოთხშაბათი** სკანდალების დღედ იქცა. რამდენიმე საათში ერთბაშად ორი სერიოზული კონფლიქტი მოხდა და ორივეში ყოფილი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები გაერივნენ.

ბელარუსებს, როგორც ჩანს, გაუტკბათ ყურადღების ცენტრში ყოფნა. ჯერ იყო და, მათ კინაღამ ქუდა გამოჰგლიჯეს სლოვაკებს, შემდეგ კი ავსტრია გაალგნეს, 5:0 გაანადგურეს და საკვალიფიკაციო რაუნდში გასვლის შანსი დააკარგვინეს. მაგრამ ამით ბელარუსთათვის სასიამოვნო ამბები ამოიწურა. ოთხშაბათს გაირკვა, რომ გუნდის თავდამსხმელს თარასი მე-13 ნომრით მოთამაშე ტიმოფეი ფილინს დოპინგ-კონტროლმა სისხლში აკრძალული პრეპარატი — ნანდროლონი აღმოუჩინა. თანაც ნანდროლონის რაოდენობამ დაშვებულ ნორმას 250-ჯერ(!) გადააჭარბა.

აღსანიშნავია, რომ ფილინი ჯერ კიდევ სლოვაკებთან თამაშის შემდეგ ამხილეს. ამიტომ და ავსტრიასთან მატჩში არ მონაწილეობდა ხოლო ნაკრების მესვეურებმა ხელმეორედ სინჯის აღება მოითხოვეს. ჰოდა, სწორედ ოთხშაბათს „ბ" სინჯმაც დადებითი შედეგი აჩვენა. ჯერჯერობით ჰოკეისტს ჩემპიონატის ბოლომდე მიუსაჯეს დისკვალიფიკაცია. დანარჩენზე იიჰფ პირველობის დასრულების შემდეგ იფიქრებს. ამის შემდეგ, ცხადია, ბელარუსები კარგ გუნებაზე არ იყვნენ და მომძე რუსეთთან თამაში მათ უხასიათოდ ჩაატარეს. არადა, მოგების შემთხვევაში მეოთხედფინალში გასვლის შანსიც კი გაუჩნდებოდათ. თანაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე რუსებს ბელარუსებისოვის აქამდე არ მოეგოთ (1999-2:2, 2000 — 0:1), მიუხედავად იმისა, რომ თამაში აშკარად „ამხანაგურ" ხასიათს ატარებდა და ორივე გუნდი, განსაკუთრებით ბელარუსები, ზედმეტად ფაქიზად ასპარეზობდნენ. რუსებს მაინც გაუჭირდათ გოლების გატანა. მხოლოდ მეორე პერიოდის შუაგულში შეაგდო ხარიტონოვმა მცველი ვიშედკევიჩის მოულოდნელი გარღვევის შემდეგ. საბოლოოდ ყველაფერი 52-ე წუთზე ისევ ვიშედკევიჩის უძლიერესმა დარტყმამ გადაწყვიტა.

ახლა მეორე სკანდალზე, რომლის ინიციატორები ლატვიელები გახდნენ. უფრო სწორად, მათ ხმაური ატეხეს იმის გამო, რომ აშშ-სთან მატჩში (1:3), მათი აზრით, რამდენიმე უსამართლობას მოხდა, რამაც საბოლოო შედეგზე მოახდინა გავლენა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ლატვიელები 1:0 იგებდნენ, ჩეხმა მსაჯმა შინდლერმა ბალტიისპირელთა ორი გოლი არ ჩათვალა. პირველ შემთხვევაში მან მიიჩნია, რომ შაიბამ არ გადაკვეთა კარის ხაზი და არც კი მოისურვა ვიდეოჩანაწერის ნახვა. მეორედ კი შინდლერმა ჩათვალა, რომ ერთ-ერთი ლატვიელი მეკარის მოედანში იმყოფებოდა.

„ეტყობა, შინდლერს თავში აუვარდა, რომ მას ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო არბიტრად თვლიან და თავი ხელშეუხებლად ჩათვალა. ამიტომაც დროა, მიწაზე დავუშვათ" — თქვა ლატვიის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტმა კიროვ ლიტმანმა, თუმცა მან ისიც დაამატა, რომ გუნდის კაპიტან კარლის სკრასტინშს მეტი პრინციპულობა უნდა გამოეჩინა და უფრო მკაცრად მოეთხოვნა ვიდეოფირის დათვალიერება.

ამ ამბებმა ერთობ დაჩრდილა უშუალოდ სათამაშო მოვლენები. არადა, ოთხშაბათს ხომ პირველი რაუნდის მეორე ცენტრალური მატჩი შედგა, სადაც ერთმანეთს „მოსისხლე მტრები", შვედები და ფინელები შეხვდნენ. თუმცა უშეღავათო ბრძოლა მხოლოდ პირველ პერიოდში იყო. ტრიბუნების მხურვალე მხარდაჭერით გამხნევებულმა ფინელებმა (ექვსი ათასი მაყურებლისგან მინიმუმ ნახევარზე მეტი სუომელები იყვნენ) პირველივე შეტევა გოლით დაასრულეს ნიემის შორეული დარტყმის შემდეგ, მაგრამ უკვე საწყის პერიოდში ტყუპი სედინების მიერ წამოწყებულმა ორმა კომბინაციამ შედეგი გამოიღო, ხოლო მეორე მესამედში ფინელთა მეკარე ფრედრიკ ნორენამ ორი იოლი გოლი გაუშვა და თავისიანთა იმედები გააქარწყლა. შვედთაგან ორი შაიბა იონატან ჰედსტრიომმა მიითვალა.

ბოლოს ორ საინტერესო ფაქტზე. როგორც იქნა, ავსტრიის დედაქალაქში აგრილდა, ტემპერატურა 10 გრადუსით დაეცა და „შტადჰალეში" ყინულის ხარისხი ოდნავ გაუმჯობესდა, თუმცა გვიანი საღამოს თამაშებზე მაინც საკმაოდ დაზიანებული ჰაერია და ჰოკეისტებს უჭირთ ასპარეზობა. სტადიონზე განთავსებულ მრავალფეროვან ატრიბუტიკაზე და საჭმელზე კი საკმაოდ მაღალი ფასებია. მაგალითად, სენდვიჩი გაზიანი წყლით 3 ევრო ღირს, ლუდის ერთი ბოთლი — 3,40, სამაგიეროდ, მისი ტრიბუნებზე შეტანაც შეიძლება, ოღონდ პლასტმასის ჭიქაში უნდა გადაასხათ. შაიბას 5 ევროდ შეიძენთ, — მისურას რომელიმე გუნდის წარწერით — ოცად, ტურნირის თილისმა ვინიც 20 ევრო ღირს.

**სამველ ღარიბიანი**

### A ჯგუფი

**რუსეთი — ბელარუსი 2:0**

**სლოვაკეთი — ავსტრია 8:1**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 13:5 | 5 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 9:5 | 5 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 2 | 6:4 | 2 |
| ავსტრია | 0 | 0 | 3 | 3:17 | 0 |

### C ჯგუფი

**შვედეთი — ფინეთი 5:1**

**უკრაინა — დანია 2:1**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 0 | 0 | 15:3 | 6 |
| ფინეთი | 2 | 0 | 1 | 7:7 | 4 |
| უკრაინა | 1 | 0 | 2 | 5:8 | 2 |
| დანია | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |



# მისკინას აღარაფერი ეტყობა

## მასტერსერია

**რომი. თიხნარი. საპრიზო 1,87 მილიონი €**

**მეორე წრე**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:4 7:5; **გასტონ გაუდიო** (3, არგენტინა) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:4 6:2; **ტიმ ჰენმანი** (4, ბრიტანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:3 6:2; **რაფაელ ნადალი** (5, ესპანეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:1 6:1; **ანდრე აგასი** (6, აშშ) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:2 6:3; **გილერმო კორია** (9, არგენტინა) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:1 6:1; **გილერმო კანიასი** (11, არგენტინა) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:0 6:0; **ივან ლიუბიჩიჩი** (12, ხორვატია) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 6:4 3:6 6:3; **რადეკ შტეპანეკი** (15, სლოვაკეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:4 4:6 6:1; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — ტომას იოჰანსონი (16, შვედეთი) 6:3 6:4

**ხანგრძლივი** საშინაო ბურთაობის შემდეგ გადმოატლანტიკელებულმა ენდი როდიკმა როლანგაროსობის ოდინდელ ჩემპიონ ალბერტ კოსტას საათნახევრიანი მატჩის მსვლელობისას რვა ეისი გადაუჭირა, საბრეიკპოინტეზე მხოლოდ ერთხელ გაიკარა და ჯამშიც დამაჯერებლად აჯობა. ეს მათი მეორე შეხვედრა იყო და ენდიბოიმ კოსტას პირადი ანგარიში რომ გაუთანაბრა, საამსეზონო თიხნარმონაგარი ნული მარცხის წილ შვიდ მოგებამდე აიყვანა.

გაივაკა 35 წლის ანდრე აგასიმაც, ვინაც ჩოგანი თასმლოიდებულზე უფრო იოლად მოაკაკუნა თავისზე 17 წლით უმცროს ნიჭიერ ფრანგ რიშარ გასკეს.

საათზე მხოლოდ სამი წუთით მეტი მოანდომა რუმინელი ჰანესკუს რბევას წლევანდელი თიხნარსეზონის ფასკუნჯმა რაფაელ ნადალმა. 18 წლის კუნძულმაჟორკელის ჩაუქ ბურთაობას სადღესასწაულოდ შეყრილმა ლეგენდარული გერმანელი ბორის ბეკერი, ვინაც — რა, რა და — თავადაც ხომ საიდან უწყის ამჯერში ნიჭიერობისას ალზევების მელოდი. აკი თქვენც უნდა გახსოვდეთ, რომ თავისი სამი უიმბლდონური ტიტულიდან პირველი მან სულაც ნადალზე უმცროსმა, 17 წლისამ მოიმკა. ბეკერი თვლის, რომ საამროლანგაროსოდ ნადალი უსათუო ფავორიტია, თუმცა იქვე დასძენს, რომ მას ბარაქიან კონკურენციას გაუწევენ შარშანდელი ჩემპიონი გასტონ გაუდიო, ფინალისტი გილერმო კორია, ხუან კარლოს ფერერო და ამქრის პირველოსანი როჯერ ფედერერი.

„თავისი ყმაწვილური ცეცხლოვანებითა და შემართებით იგი მართლაც მაგონებს ოცისწლისწინანდელ გერმანელ თინეიჯერს — ამბობს ბეკერი — თუმცა, რაღა დასამალია, თიხნარზე ის ჩემზე უკეთესად გამოიყურება."

ცნობისთვის: 49 ტიტულის მომხვეჭ ბეკერს თიხნარზე ერთი ქეციანი ტიტულიც ვერ მოურეწავს!

„მე ხშირად ვარ ხოლმე მალიორკაზე. ოთხი-ხუთი წლის წინ იქ მის თამაშებსაც დავსწრებივარ და უნდა ვთქვა, რომ ის მაშინაც ასეთივე შემართული და აგრესიული იყო."

„ჭაბუკური უშიშრობა მისი ძირითადი თულფია. თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი მაინც მისი ძლიერი ხასიათი, მისი პიროვნებაა. გაივლის წლები და ის ალბათ ასეთივე უშიშარი დარჩება."

„რაც შეეხება ფედერერს, მიუხედავად იმისა, რომ როლანგაროსობაზე მას აქამდე არაფრისთვის მიუღწევია, ვერ ვხედავ მიზეზებს, რის გამოც მან ამ ტურნირის მოგება ვერ უნდა შეძლოს. მას ყველაფერი აქვს სეფეთიხნარობის მოსაგებად — გამძლე ფეხები, რიგიანი ნაუკანახაზევი გლაჯუნი და მისთანანი. მას მხოლოდ უფრო მეტი სიდინჯე სჭირდება — წარმატებული თიხნარობა ხომ უმთავრესად შეცდომების არდაშვებას გულისხმობს."



რაფაელ ნადალი



ანდრე აგასი

AFP ფოტოები

**QATAR TOTAT GERMAN OPEN**

**ბერლინი. თიხნარი. საპრიზო 1,3 მილიონი $**

**მეორე წრე**

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — ანალინა გრიონეფელდი (გერმანია) 6:2 6:2; **ამელი მორეზმო** (2, საფრანგეთი) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:4 6:1; **იულია შრუფი** (გერმანია) — ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) 6:2 1:6 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 6:2 6:1; **პატი შნიდერი** (7, შვეიცარია) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 7:6 (7:2) 6:4; **ელენა ბოვინა** (8, რუსეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 5:7 7:5 6:1; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — ელენა ლიხოვცევა (10, რუსეთი) 6:2 6:2; **კიმ კლაისტერსი** (11, ბელგია) — დინარა საფინა (რუსეთი) 7:5 6:2; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (12, ბელგია) — მარია კირილენკო (რუსეთი) 2:6 6:1 6:3

**ანასტასია** მისკინას საამსეზონო ვაინაჩრობანი უსახელო იულია შრუფთან დამარცხებითაც გაგრძელდა — არადა, როლანგაროსობამდე ორი კვირაღა დარჩა და შარშანდელ ჩემპიონს ტიტულის შემნარჩუნებლისა ჯერ-ჯერობით ვერაფერი დაეტყო.

შრუფისა და მთელი გერმანიისთვის კი ეს გამარჯვება ლასტურ გამორჩეულ ამბად იქცა, რაკილა 1996 წლის გერმანიის ღია პირველობის შემდეგ (როცა შტეფი გრაფმა ივა მაიოლის აჯობა), ვინგინდავინ გერმანელ ქალს ამქრის ზეათეულელისთვის ველარ მოეგო!!

ისე კი — წარმატებით დაიწყეს ტურნირი შარშანდელმა ჩემპიონმა ამელი მორეზმომ და პირველ ნომრად განთესილმა მარია შარაპოვამ, რომელსაც შანსი აქვს, კვირის ბოლოს ამქრის სათავეში ლინდსი დევენპორტს ჩაენაცვლოს. მაგრამ ეგ ამბავი ეგებ გაუძნელდეს კიდეც, რადგანაც სუპერბელგიელებმა — კიმ კლაისტერსმა და ჟუსტინ ენენ-არდენმა თავიანთი ყუმბარფერმა დაიბრუნეს და როგორც ანგარიშებიდანვე დაატყობდით, გაიმესამწრევეს კიდეც. ერთი ეგ იყო, ჟუსტინს იმ დღეს ორი მატჩის გამართვა მოუხდა და ჩეხ ივეტა ბენეშოვასაც და ნორჩ რუს მაშა კირილენკოსაც სამ-სამი სეტი დააზარჯა.

**არტემ ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალი — პაატა გვასალიას ალიბი

**ახლახან** რუსულ წყაროებზე დაყრდნობით მსოფლიოს ექსჩემპიონი პაატა გვასალიას სასჯელის შესახებ გამცნეთ. პეტროპავლოვსკ-კამჩატკის სასამართლომ ფოთელი მოკრივე კაზინო „პალანდას" გადაწვაში დაადანაშაულა. ხანძრის შედეგად შვიდი კაცი დაიღუპა. გვასალიამ ბრალდება უარყო, მაგრამ... სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ისევ რუსულ მასმედიაზე დაყრდნობით ამავე თემის გაგრძელებას გთავაზობთ. გაზეთი „ექსპრეს გაზეტას" ჟურნალისტი პაატას მამას ესაუბრა.

იური გვასალიამ ორი წლის წინ მეუღლე დაკარგა, ახლა კი ვაჟიშვილს ართმევენ, ბიჭს, რომლითაც ახლო წარსულში არა მარტო იგი, კრივის გულშემატკივრებიც ამაყობდნენ — წერს „ექსპრეს გაზეტა".

**— პირველ რიგში გვაინტერესებს, როგორ მოხვდა პაატა კამჩატკაზე?**

— 1998 წელს ტურნირზე მიიწვიეს და ჩემპიონიც გახდა. დარჩენა შესთავაზეს და რადგან იმ პერიოდში ფინანსური პრობლემები ჰქონდა, დათანხმდა. მოგვიანებით ბიზნესიც წამოიწყო და ცოლ-შვილიც თავისთან გადაიყვანა, მაგრამ იმ ავადმოსაგონარ დღეს, 2003 წლის 11 აპრილს მეუღლე ნონა და ვაჟი დიმა საქართველოში იმყოფებოდნენ. ხანძარი გამთენიისას გაჩნდა და ჩემთვის დღესაც გაუგებარია, როგორ შეძლეს კაზინოს დაცვის თანამშრომლებმა იმ სიბნელეში ხანძრის გამჩენთა სახეების დაფიქსირება. სასამართლოზე ერთ-ერთმა მცველთაგანმა დოროფეევმა აღიარა კიდეც, რომ სამართალდამცავებმა პაატასა და პეტროსოვის (მეორე ბრალდებული) ფოტოები აჩვენეს და ხელის მათზე დადება მოსთხოვეს. მიუხედავად ამისა, ადრევე დაკავებული პეტროსოვი მაინც არ გაათავისუფლეს, ჩემი შვილი კი მხოლოდ ორთვენახევრის შემდეგ აიყვანეს.

**— რატომ?**

— თავიდან იგი ეჭვმიტანილთა შორის არ იყო, ჩვეულებრივ ცხოვრებას აგრძელებდა და ფოთშიც კი გადაფრინდა ოჯახის მოსანახულებლად. პეტროპავლოვსკში დაბრუნებისთანავე დაიჭირეს, აბსოლუტურად უსაფუძვლოდ.

მართლა დამნაშავე რომ ყოფილიყო, რუსეთში აღარაფრით ჩამოვიდოდა. აქვე ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ, პირველი დაკითხვისას სერიოზული შეცდომა დაუშვა. როცა ჰკითხეს, იმ ღამეს სად იყავიო, იცრუა. სინამდვილეში ღამე ქალთან გაატარა, მაგრამ ამის თქმას ოჯახის გამო თავი აარიდა. რომ მიხვდა, საქმე სერიოზულად იყო, სიმართლე აღიარა. თავად იმ ქალმაც დაადასტურა.

**— კი მაგრამ, ეს ხომ მყარი ალიბია?**

— როგორც აღმოჩნდა, არც ისე მყარი. გამომძიებლებმა მაინც არ დაიჯერეს და მოსამართლემაც ვერდიქტი გამოიტანა. უკვე რუსეთის უმაღლეს სასამართლოს მივმართეთ. იმედია, სიმართლეს იქ მაინც ვიპოვით და ბოლოს და ბოლოს შვილს დამიბრუნებენ.



ნელ მაკენდრიუს ლარა კროფტი



პოლა რედკლიფი

# ნელი, პოლა და მარია
## ჭორი და სინამდვილე

**პოპულარულ** პიროვნებებზე, მით უმეტეს მომხიბლავ ქალბატონებზე მითქმა-მოთქმასა და ჭორ-მართალს რა გამოლევს. ჰოდა, ჩვენც წავიჭოროთ ცნობილ მოდელ ნელ მაკენდრიუზე, ჩოგბურთელ მარია შარაპოვაზე და მარათონის დედოფალ პოლა რედკლიფზე.

ნელ მაკენდრიუ, რომელიც 1997-დან 1999 წლამდე ლარა კროფტის შესახებ საკომპიუტერო თამაშს TOMB RAIDER რეკლამას უწევდა, ახლა თურმე ჭარბ წონას შეუწუხებია. შეუწუხებია და დიეტოლოგს მისდგომია, იმას კი ურჩევია, წადი, ლონდონის მარათონში ირბინე და გეშველებაო.

ამ ქალბატონმაც ყურად იღო რჩევა და ლონდონის ქუჩებში მთელი 42 კილომეტრი და 195 მეტრი მართლაც თავიდან ბოლომდე ირბინა. რა თქმა უნდა, ნელ მაკენდრიუმ ვერ გაიმარჯვა. პირველობის დაფნის გვირგვინი, როგორც თავის დროზე ვიუწყებოდით, პოლა რედკლიფმა მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ გზად ერთხანს იძულებით შეყოვნდა. არა, იგი კროფტთან, უკაცრავად, ნელ მაკენდრიუსთან ან სხვა ვინმესთან საჭოროდ სადმე არ ჩამომჯდარა. უბრალოდ, ამ 31 წლის ქალბატონმა იქით გადაუხვია, სადაც მეფეებიც კი თავიანთი ფეხით მიდიან, ოღონდაც, რაკი ახლომახლო, ტუალეტი ვერ დაინახა, იქვე, უამრავი ხალხის თვალწინ, ტრუსები ჩაიხადა და ჩაიცუცქა...

„ეტყობა, ჭამით მუცელი ამოვიყორე. მეტის მოთმენაც აღარ შემეძლო და, აბა, რა უნდა მექნა?" — იკითხა პოლამ და იქვე დასძინა, რა თქმა უნდა, ასობით ათასი თვალის წინაშე ამის გაკეთება არ მინდოდაო.

ასე იყო თუ ისე, როგორც ვთქვით, პოლამ მაინც გაიმარჯვა და ფინიშთან ნელმაც მიირბინა, მაგრამ მთავარი სწორედ ისაა, რომ მიირბინა მაშინ, როცა მარათონს ბევრმა ილაჯგაწყვეტილმა ვერ გაუძლო და მისავათებული გამოეთხოვა რბოლას.

აი, ნელ მაკენდრიუს კი ძალიან მოსწონებია ეს უსაშველოდ გრძელი გამოცდა და სხვა მარათონებში გამოსვლაც განუზრახავს, მით უმეტეს, რომ ის ზედმეტი წონა და იმაზე მეტიც ლონდონის ქუჩებში დატოვა.

სამომავლოდ ნელი უბრალოდ ფინიშამდე მიღწევას კი არა, უფრო სწრაფ სირბილს აპირებს.

[illegible]

მარია შარაპოვა ამერიკული ჟურნალ „PEOPLE"-ის გამოკითხვის შედეგად მსოფლიოს 50 ულამაზეს ადამიანთა შორის დაასახელეს. უმშვენიერესთა შორის უმშვენიერესად კი კინოვარსკვლავი ჯულია რობერტსი მიიჩნიეს. ჰოდა, ამ 50 მომხიბლავი ადამიანის ფოტო ჟურნალმა რომ გამოაქვეყნა, გარეკანი სწორედ ჯულია რობერტსის სურათმა დაამშვენა, მაგრამ რაკი ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, სპორტსმენები გვაინტერესებს, კინოვარსკვლავის ცქერას შევეშვათ და სპორტსმენებს მივუბრუნდეთ.

იმ 50 ულამაზეს ადამიანთა შორის, შარაპოვას გარდა, კიდევ სამი სპორტის ვარსკვლავია. ესენი არიან: ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი, კალათბურთელი დუეინ ვეიდი და ყოფილი ამერიკული ფეხბურთის ლიგის მოთამაშე ტომ ბრიდი.

ახლა ამ კაცებზე ჭორ-მართალს რომ მოვყვეთ, ეს საქმე შორს წაგვიყვანს, ამიტომ შარაპოვაზე შევჩერდებით. მით უმეტეს, რომ საამისო საბაბს თავადაც გვაძლევს და მისი რუსი თანამემამულე ჩვენი კოლეგებიც.

ჰოდა, როგორც ერთ-ერთი მათგანი, გვარად დუბინსკი ამბობს, ახლა ყველანი სულმოუთქმელად ელიან, თუ როდის დაიწყებს მარია სასიყვარულო რომანს.


მარია შარაპოვა

ისე, რუს დედაკაცთა ამბავი რომ ვიცით, მარიას რომანი კარგა ხნის დაწყებული უნდა ჰქონდეს და ეტყობა, ყოველივეს კარგად ნიღბავს, შეუნიღბავი კი ის ყოფილა, რომ მარია ესპანელ კოლეგა ხუან კარლოს ფერეროზე გადარეულა და საქმე კურიოზამდეც კი მისულა.

ჰყვებიან, რომ 18 წლის მარია, რომელიც მართლაც მშვენიერია, თურმე თვალს არ აშორებდა კოლეგა ფერეროს, არ აცდენდა მის თამაშებს და დაეძებდა სასტუმროების ნომრებში თუ შეჯიბრებების მერე გამართულ ფურშეტებზე, გაუთავებლად უგზავნიდა და უგზავნიდა მას ესემესებს...

მაგრამ ეს ფერერო ვინღა ყოფილა — ქვა აუგდია, თავი შეუმაგრია და ცდუნებისთვის გაუძლია.

და რაკი შარაპოვას არაფერი გამოსვლია, მის გულში ფერეროს სიყვარული ჩაფერფლილა, მაგრამ იქ ახლა სხვა ნაპერწკალი ღვივის თუ არა, ეს აღარავის სცოდნია.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ფეხი, ბიჭო...

პლეი ოფმა იმგვარი ფანდების გამოგონება იცის, რომ თქვენი მოწონებული. ბოსტონელ რალფ ლაფრენცს ამგვარი ხერხი უპოვნია: ვითომდა შემთხვევით, ინდიანელი ჯამალ ტინსლი ასე მოხერხებულად შეუკავებია. გასაკვირიც არაა, წყვილის მეხუთე თამაშია.






# დალასელი შემტევები

ეს „დალას კოვბოიზის“ მობურთალთა ჩირლიდერ გოგონათა გუნდია. რევიუ განთქმულია, ოღონდაც ახლა ეგებ სასამართლოშიც მოუწიოს ცეკვამ. თამაშების წინ და შესვენებისას მოცეკვავე გოგონათა გუნდის ცეკვები აღიარეს როგორც სექსუალურად შემტევი, ვულგარული და სტრიპ-კლუბების შესაფერისი.

# ლუკა ყვანჯით

ჯან ლუკა ვიალი: ფეხბურთის დიდი პენსიონერი გოლფით ერთობა. თუმცა, მხოლოდ გართობა არ არის, იტალიის ღია პრო-ემის პირველობაზე კონკურსგარეშე მონაწილეობას მხოლოდ გართობა ვერ დაერქმევა.



# კოპაკაბანა

აი, რატომ ჰყავს ბრაზილიას დიდი ფეხბურთელები. ეს რიოა, კოპაკაბანა. აქვე სულ მალე დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი ქვიშის ფეხბურთში, რომელშიაც რვა გუნდი მონაწილეობს.



# მაკარტურის მორიგი



ელენ მაკარტური, „კასტორამას“ შკიპერი და დიდი ზღვაოსანი (შუაში) მორიგ უძნელეს რეისში გაება და ახლა სენ მალოს მშველელთა გუნდთან ერთად იღიმის. ცუდ საცურაო პირობებში სენ ნაზერსა და სენ მალოს შორის წყლის გზებზე სვლას ელენმა მხოლოდ ერთი დღე, 23 საათი და 20 წამი მოანდომა და გაიმარჯვა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კოკა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ჯაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge